

513.

ნებაზობა

საქართვის მთავრობის
შეუწინებლი.

32

თბილისი 800660. ✠ 0163160, 1913 წ.

138
1913/2




საქართველოს დიდებული მეცნ თამარი.

(1913 წ. 18 იანვარს შესრულდა 700 წ. მისი გარდაცვალების შემდეგ).

ს ა რ ჩ ე ბ ი.

თემატიკური
განვითარების

I—თამარ-მეფე—ს უძათი	1
II—შილოცვა,—დექტი დარია ახელედიანისა	3
III—ბუნების მგოსნები,—ვაჭაფშეკედასი	4
IV—ზამთრის სურათები,—დექტი იღია რუსამის	11
V—ღვთის მშობელი,—სურ. რაჭაელის	13
VI—ტარაბოშის გორასთან —ეპ. გაბაშვილის	14
VII—ბულბული და ვარდი,—დექტი ნ. ჩხილვაძის	23
VIII—უჭყელესი დროის ბაჟშეის თავგადასაეალი,—მთხოვთა გ. დ. ერგელისა, თარგმ. შარამ თაშვილის	27
IX—ორი დღესასწაული	36
X—1912 წლის შინაური მიმოხილვა,—შეგობრის	37
XI—საქართველო,—(რწმუნანი და ჩვეულებანი, გაბრძელება) შეარჩევისა	43
XII—მითოლოგია,—ტროადის ომი,—ად. შიქაბერიძის	51
XIII—ბუნებრივი შერჩევის კანონი,—გ. ანთეგა იძის	58
XIV—გასართობი: გამოცანები შარადა და შარადის აღსნა	63
XVI—სარჩევი 1912 წ. ნაკადულისა	—





ମୋହନବିଜ୍ଞାନ.

(ନାଯାତ୍ମକାଳୀରେ ମୁଦ୍ରଣକୁଟୀର୍ଣ୍ଣରେଖା).



138
1913/2

୧୯୫୩

ମୋହନବିଜ୍ଞାନ ନାଯାତ୍ମକାଳୀରେ
ମୁଦ୍ରଣକୁଟୀର୍ଣ୍ଣରେଖା,
ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କ ପାଦପାଦିକାରୀ,
କୁରିମ୍ବି ତଥା କାନ୍ଦିଲିଙ୍କରେ—

ନାଯାତ୍ମକାଳୀରେ ମୁଦ୍ରଣ ମନ୍ଦିରରେ,
ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ମୁଦ୍ରଣ, ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କର ମନ୍ଦିର,
ମନ୍ଦିରରେ ମୁଦ୍ରଣ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କର,
ନାଯାତ୍ମକାଳୀରେ ମୁଦ୍ରଣ ମନ୍ଦିରରେ.

ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କ ମୁଦ୍ରଣରେ
ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ,
ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ,
ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ!

ମୁଦ୍ରଣରେ ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ,
ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ,
ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ,
ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ...

ଅ. ଏକାନ୍ତମାନ.



ଶ୍ଵେତି ମହାନୀତି.

I.



ଶ୍ଵେତ ଏହି ଗ୍ରାମରେ ତାଙ୍କୁ ତାଙ୍କୁ ଗାଢିଲାଖିବେଳୁ
ଲାଦ ଟାଙ୍କୁଣିଲାଦା. ଅଲ୍ଲାହିତାଙ୍କୁନ୍ତରୁଲାଣ ଯୁଗ:
ଲମ୍ବରିତିଶ, ଲୁପ୍ତିଶ, ମନ୍ଦିରିଶ, ପାଶ, ଦେଇଦିମିଥିଶ,—
ପ୍ରସାଦାର୍ଥୀଙ୍କିରି ମାଦଳାନଦାଶ ଶୃଙ୍ଗରାଜିଲା; ମାତ୍ର ଏହା
ଲାଙ୍ଘନ ସମ୍ମରଣା: ନିର୍ମିତି, ଶାଶ୍ଵତ ମନ୍ଦିରିଶର୍ମି ମନ୍ତ୍ରି
ଷ୍ଟର ଶ୍ରୀକୃତିନାନନ୍ଦା. ଦାବୀରିଶ୍ଚାରା, ତୁ ରାମଦେବିଶ୍ଵର ଦୁର୍ଗାମିଥି ଶ୍ରୀକୃତି
ନେବୁଲିଶ ଶାଶ୍ଵତ ନେବୁଲିଶ ଗାମିଶବିହ୍ୟାର ଦାମିଶାର୍ଦ୍ଦୁଲାଣ କ୍ଷେତ୍ରପଥି
କି; ରାମଦେବିଶ୍ଵର ଶର୍ମିଲାଦ ଲାଙ୍ଘନି, ଦୁର୍ଗାମିବୁଦ୍ଧିଲାଣ ଦାରିପୁଣ୍ୟକି

გადასანსლა; რამდენჯერ აატირა ცხარე ცრემლით, ჩაშეჭრა კუნძულით ჯერ გაამწარა, ააშეოთა იქვმდის, რომ შაშეის საკოდაობით ტყეც კი ტიროდა. ვერხვის მთრთოლარე ფოთლები ცრემლს აფრქვევდნენ; მუხაც-კი, კლდესავით მაგარი, რკინის გულის მქონებელი, სახეს იღმევავდა და სატიროდ ემზადებოდა... შაშეი სიმღერის იშრაზე იყო მოსული.

ეს-ეს არი ეუტუნა წვიმამ გადაიღო. ჯერ ისევ ცხოვლად ჩანდა ნორის მწვანე ბალაზე მარგალიტებად დაფანტული წვი მის ცვარი. ამ ჩამობერტყილიყო იგი ხის ნორის ფოთლებიდან: თითო-თითოდ ჩამოდიოდა, ხმელ ფოთოლზე ცვიოდა, ტყეს აკოცხლებდა, ამმაურებდა.

შაშესაც სიმღერა სწყუროდა... ეს-ეს იყო შაშემა მოცელი თავისი ოჯახი—თავის ბუდე, სადაც სამი, ნახევრად ბუმბულით შემოსილი ბარტყი ეჯდა, გადაარჩინა. მისი შეილები ხომ გულ-უბრყეილოები, მინდობილები არიან: ვისაც დაინახვენ, პირებს ულებენ — გვაქამე რამე.

დედას ძალიან უყვარს იმათი ელურტული, აღტაცებაში მოდის, როცა მისი შეილები ყვითლად დაფერილ ხახას აღებენ და თან პაწაწყინტელი მხრებს ასავსავებენ.

შაშინ შაშეი ამბობს: „თქვენ გენაცვალეთ, თავს შემოგვლეთ, ჩემო პატარებოთვა! მტერი მოგაშორეთ, აგაცილეთ თავიდან—გავაბრიყვე; იმას ჰეონია—შაშეს, დედა-თქვენს, ჰეუა არა აქვს!“

შაშეი კიდეც იკვეხოდა თავის ჰეკუს და მოხტოხებას. რა-ში გამოიჩინა ჰეკუა?—მოუსევნარი ვასო დაინახა, ჩიტო ბარტყების მტერი, სახლი რომ გალიებით იქვს საესე და შეისხვა-და-სხვა ფრინველების ბარტყები ჰყავს დატყვევებული, მოთავსებული. მოდიოდა თავ-გადაგლეჯილი, თვალ-დაცუცებული, მოძერ ბოდა ჯაგებში და ზედ უნდა წასდგომოდა შაშესა და მოელ მის ოჯახს. შაშემა თვალი მაღლ შეასწრო და ეს-და მოახერხა: ცალი მხარი დაუშო, თითქო მოტეხილი იქვსო, დაჭრილი და მოეჩვენა და გაუფრიალა ვასოს თვალ-წინ. მონა-

დორქს გაუხარდა და დედა-შაშვს გამოკიდა დასაცერალი, ფრთხოების
ლა აგონდებოდა ბუდე და ბარტყები?!. ზიფოროზავს შაშვი და
მისიდევს თან ვასო. ჯერ იმედი ჰქონდა - უკალს დავიკერო;
როცა ეს იმედი გაუცრუედა, დაუწყო შაშვს ხისა და ქვის
სროლა, მაგრამ ამაღლ. შაშვმა დაინახა, რომ მტერი შორს
იყო, ასედა მის შეილების ბინას, გაიმთელა ფრთა, შეინავარ-
და ცაში და მიეფარა ტყეში. მალე დედა შაშვი თავის საყვა-
რელ ბარტყებთან გაჩნდა: „მოგაშორეთ მტერი, მოგაშორეთ!
ნუ გერინიანთ, ჩემთ შეილებო, ტყილებო, მარგალიტებო! რო-
გორ გავაძრიყვე ის სულული ბავშვი: იმსა ეგონა მართლა მე
ფრთა ჰქონდა მოტეხილი, იმედოვნებდა — უსათუოდ დავიკე-
რო; ასე რომ არ მოვქცეულიყოდ, ჩემი ბინა-ბუდე ეხლა დან-
გრეული იქნებოდა და ოქვენც, ჩემთ შეილებო, ვასოს გა-
ლიაში ისხდებოდით დატყვევებულნი, მტირალნი... ეხლა
ფიქრი ნუ გაქვთ, ღმერთი ჩეენიან არის“!

ამ რისთვის იყო შეშეი გალადებული, ამ რისთვის მიე-
კება ის ბუნების აღტაცებით და მტრების მიმართაც-კე მტრო-
ბის აღარი ჰერძნობდა.

მელოდიარე ქალი, მუდამ თაღებში ჩამჯდარი, მოვლო
კენწეროში თამელს იქვე, შეილების ახლო, და დაიწყო
ვალობა. შევნიერი იყო შაშვის გალობა, ძალიან უხდებოდა
მისი სტვენა ჩამიმავალი მზის მთის ფხიდან, შების წერად გა-
მოძაბულ სხივებს, რყეში, ხეობებში, დაფანტულ-დაქსა-
ქსულისა.



დალონებულია, დროს მხოლოდ საზრდოს შოენას ანტონიქიშვილი ბუნების როგორმე თავი გამოიკვებოს ..

დიალ, უნდა მივცვდეთ, უნდა ვიფიქროთ ასე: განა შეიძლება მაგ გულ-მოსკენით ნათქვამ წმებში არ იხატებოდეს ობოენა—ღმერთო, მიუოცხლე, დამიზარდე ჩემი შეილებით! — ღმერთო, აშორე მათ ყოველი განსაცდელი, დაიხსენ ყოველგვარ გაჭირებიდან ისე, როგორც დღეს დაგვიხსენი! ამ, როგორ გმადლობ, შენ უფალო, რომ არ გაგვხადე მტრის ლუქმად!

როგორ დავიჯერო, შაშვი მადლობას არ უუბნებოდეს ღმერთს, რომ მან შექმნა ბუნება ტურფა, საყვარელი და შაშვს მიანიჭა სიუოცხლე,—საუნჯე ტკბილი და უძირტასესი. ეინ იცის კიდევ რას გალობდა შაშვი?!.. ეს თქვენ გაიგეთ, ამას თქვენ მიხვდით ..

გალობდა შაშვი და თავის გალობაში დნებოდა. მზებ მოურიფა მთლად თავისი სხივები, ჩაიწყო უბეში, შეიხვია კალ-თაში, მოეფარა მთას და განისვენა ბინდმა დაქრა. შაშვი, შეისრულა-რა თავისი მოვალეობა—სდუმდა; ჩატრინდა ბუდე-ში და დააჯდა თავის ბარტყებს. შაშვმა რომ გალობა გაათავა, ტყემ, დაბლა ჟვავილებით მორთულმა მწვანე ბალაბმა, გორაკებმა და იმ სულმა წმინდამ, ჰერთან ერთად შეზავებულმა, შაშვს მადლობა გადაუხადა: „გმადლობთ, გმადლობთ, იცოცხლე, იხარე; ღმერთმა ნუ დაადუმოს ნურადროს შენი ტკბილად მოუბარი ენა და ნურც შენ მსმენელს, მადრიელ ბუნებას, მოაკლოს შადლი, ჩათა კეთილად დააფასოს შენი ლვაწლი, მაგისტენიოს მუდამ მადლობით, კეთილად“.

ამასობაში დაბინდდა და მთელი ბუნება საძილედ გაემზადა. სდუმდა შაშვი, მაგრამ ბუნებას სხვა მკონი გამოუჩნდა უფრო დიდებული, უფრო ტკბილად მომღერალი, ვიდრე შაშვია: ბულბულმა დაიწყო გალობა. თუ მეტყველ ნაწილს ბუნებისას—ადამიანებს, გვყავს საკუთარი რუსთაველები შექსპირები და ჰომიროსები, უტყვ ბუნებასაც — ტყეს, ფრინვე-

ლებს, ქოველებს ჰყავთ თავისი შექსპირი და რუსთაველი და ბულბული არის — ბულბული. მისი მშვენიერი, ტკბილი გალობა სული წმინდათ ჰქმნიდა მთელ ბუნებას თავის ცით და დედა-მიწით; თავადაც დამდნარი, შეერთებოდა ამ სული წმინდას და ყოველი მშენელის გული დაესვა თავის ლალ, მსუბუქ ფრთვებზე და, ბეჭნიერებად ქცეულს, არწევდა, აქანავებდა. ისეთი დიდებული და აღმაფრენის მიმნიჭებელი იყო ბულბულის სტვენა, — დამატკბობელი, გავირვებით და სიხარულით აღმვსები ჰყელასთვის, ვინც მას უსმენდა, როგორც მშობლისათვის დედის ერთა შეილის მკლდრეთით იღდგომია.

II.

ბულბული რომ გალობდა, იქვე ჭალაში, ამ დროს აიგანხე ისხდნენ მოხუცი მღედელი იროდიონი და მისი ერთადერთი შეილი, სემინარიელი ვანო, და ჩის შეექცეულენენ. მოხუცის ერთად-ერთი ნუვეში და იმედი ილტაცებით ისმენდა ბულბულის გალობას. მამა იროდიონს სახეზე ნალველი გადაეკრა, თვალები ურემლით აეცსო, რაღაც სამწუხარო ამბავი მოიგონდა.

— ოჲ, აა მშვენცრად გალობს; ქონებულ დედა-შენს ძალიან უყვარდა ბულბულის გალობა: საჭმელ-სასმელი ავიწყდებოდა და, მინამ ბულბული არ ვაათავებდა გალობას, საბრალო დედა შენი, სხენად გადაქცეული, არ მოშორდებოდა აიგანს, ყურს უგდებდა, ოხრავდა, ვიშვიშებდა, თითქოს ეს-შოდა დაწვრილებით რასაც ბულბული გალობდა. ღმერთო, დაილოცას შენი სამართალი, რომ მაგ ერთი ბეწო ჩიტს იმოდენა უნარი მიეცი, რომ კიური სიამოცნება იგრძნობინოს ადამიანის სულს და გულსა. „ლოცულობს, ადამიანო, ლოცულობს“, იტყოდა ქონებული: „შე დაწვრილებით მესმის შისი ლოცვაო, და იცი კიდევ რას ამბობს, რასა სთხოვს ღმერთისაო? ღმერთო, ბუდამ ესე აყვავებული და ამწვანებული ამყოფე მთელი ბუნებაო.



ლმერთო, შეიწირე ვედრება ობოლოთა და დაცურდოს მისი კუნძულის და ლმერთო, კეთილად მოიხსენე სისუფე ველსა შენსა იჩინ სულები, ვინც წმინდათ განველო გზა ცხოვრებისა; გვაშორე სიკვდილი, უფალო, გვაშორეო, მიუოუბლე ლმერთო ჩემები, ვინც მყავანან...

ზაფხულობით კატას არ დააყენებდა სახლში, ბიჭს შორს წააყვანინებდა, გააშევებინებდა, სხვისასაც არ გაავაკანებდა თა-
ვის ეზოში — ბულბულებსა სკამენ შეჩვენებულებით. შართლაც
— რამზენჯერმე ვიპოვნეთ ბუმბული ჩვენი ვარდების ძირში,
სადაც ბულბულებს ღამე ცხოვრება და გალობა უყვარდათ.
გალობის ღროს-კი ძალიან აღვილად დაიკერს ჯერ ადამიანი,
თორებ კატა რას გაუშევებს, იმიტომ ჩომ თვალ-დახურული
გალობასო... დიდად გვასიამოვნებდნენ შართლაც ბულბულე-
ბი, მახარობლებით მოფრინდებოდნენ და გვატებობდნენ.
მოკვდა დედა-შენი და ბულბულებმაც ხელი იიღეს ჩვენს ბალ-
ზე: ეხლა შორიდან გვაძლევენ სალაშს, — დაამთავრა სიტყვა
ამოოხევრით მოხუცმა.

მართლაც, დიდებული მოვლენაა, მამაწმო, ბულბული ბუნებაში: საზოგადოდ — მგალობელი ჩიტები. მე ასე ვფიქრობ: ბუნება წარმოდგენებს ჰმართავს და არტისტები მღერიან, — მცენარენი, ქოველები, ფრინველნი; საერთოდ მთელი ბუნება სტებება არტისტების მღერით. საღამო ხანზე ხომ გაიგონეთ — შაშვება იგალობა; დაღამდა, და ბულბულშა დაიჭირა მისი ადგილი. დაბალი ხარისხის მომღერალნი ხომ აუარებელია.

ბუნების წილში წარმოდგენები იმართება-მეოქი, ვამბობ, და ეს სრული კეშმარიტებაა. მსახიობნი უმთავრესად ჩიკეები არიან. ბუნებას ისევე უყვარს ხელოვნება, როგორც ჩვენ. ან-ჯი ჩვენ, აღაშიანებს, სად შეგვიძლიან ისე შევიყვაროთ ხე-ლოვნება, როგორც თვით ბუნებას, რომელიც თავის-თავადაც ხელოვნებაა?! მეტე, რა მოყვარს ზაგ იღეალურ არტისტებისა! ჰო, შენი ჰირიმე, როგორ არაურაცებს ხმასა? — თავის დღეში




სასყიდელს არა თხოულობენ; მაგათ არც ვინ იუბილეის პრიზი გაიტანებათ თავს, არც ზემს; არც ვინ საჩუქრებს უგზავნის. მშვენიერება ბაზე მშვენიერებაა!.. — ამბობდა აღ წაცეპით ვანო.

„რაში უნდა მოიხმარონ ან-კი საჩუქრები? — წარმოსთქვა მამა იროდიონმა: „რას აქნევენ ოქროს და ვერცხლის საჩუქრებს?! ჩეენ რა ვიტოთ, რომ თავიანთებურად კიდევაც არ უშართავენ? ჩეენ როდის ვადევნეთ თვალ-ყური ფრინველების ყოფა-ქცევის? არც როდის.“

„მართლაც რა ტურფა სანახავი იქნებოდა, ამბობდა ვანო აღტაცებით: — მენახა ჩემის თველით ბულბულის იუბილე, როცა ჩეენ ქალაქში ხეხილი აყვავებულია და ყვავილების სუნი ნისლივით დასწოლია ზედა, ჰაერი მთელი ყვავილების სუნიდ არის გადაჭცეული, — იქამდის, რომ ადამიანს ათრობს, პბნედავს, გარს შეაორტყმული მაჩვენა ბულბული ფრინველთა დეპუტატი. ნუ თუ დატებითოდა ისეთი მოდგმა ფრინველებისა, რომ მისალოცად თავიანთ დეპუტატს არ გამოიზანდიდა!.. რა სათქმელია, რა წარმოსადგენია?.. არის საღმე განა ისეთი ფრინველი, რომ არ ჰსმენოდეს ბულბულის გალობა და არ დამტკბარიყოს მის ტებილ ხმოვანებით? არა მცონია. გაშასაღამე, უნდა წარმოედგინოთ, თუ რამდენა სხვა-დასხვა ფრინველი მოიყრიდა ბულბულის გარშემო თავსა და რომელი ფრინველი რას იტყოდა; ვინ რა სიტყვის ეტყოდა, და ან ბულბული რა სიტყვით გადაიხდიდა ბოდიშს? თუ, მამა ჩემთ, რა დიდებული სურათი იქნებოდა. მეც იქვე საღმე ბარდეში ჩამსება ისე, რომ ვერავის დავენახე: მეცქირა ფრინველთა თეის, მომექმინა იმათი ნათქვამი, ჩამეწერა რვეულში, დამებეჭდა და ვამცვრცელებინა ხალხში. განა იმაზე ღამაზ საყითხებს წიგნს კიდევ შეპხედება ადამიანი? არა მცონია.

ვაჟა-ზაველა.

(დასასრული იქნება).





ଚାମରାଳୀ ଶୁଣାତଥା.

I

ଯୁଦ୍ଧକ୍ଷେତ୍ରରେ ଜାରି,
ଫୁଲରେ ଅଶ୍ଵେଷୁଲି,
ଶୁଶ୍ରୀର ଘାନ୍ତରେ ନିର୍ମଳିତ
ଗାନ୍ଧିବ୍ୟକ୍ତିରେ
ଦୂରର୍ଦ୍ଦ୍ରୀରେ ଶତାବ୍ଦିତକ୍ଷାଣୀ
ପ୍ରକାଶରେ ମତା-ଦାରୀ.
ପ୍ରାଚୀରେ ନିର୍ମାମିତିରେ
ଗୁଣ-କ୍ଷେତ୍ର ନାମତାରୀ.

სკივათ ჩიტუნებს, სკივათ და შიათ. ცრიცხლები
ვერ აქოველებს იმედი მათ გულს!
განა მათგანი ბევრი იხილავს
იმ სოლუნებო, ნანატრ გაზაფხულს!

11

Որոշ լուսակաց
առաջարկութեան
հայութեան մասին
ուղարկութեան մասին
մաս աշխարհութեան
մաս և աշխարհութեան
մաս և աշխարհութեան
մաս և աշխարհութեան

ფიქტობს: მის ზღუდეს, ყინულთა ზღუდეს
აწ გაზიფხული ვერ სტურტის სხივებს.
და ლინით მოვრალი, კაბრად იფარებს
განსკერაკებულ თოვლისა ფიქტებს...

ჩიტუნიებს კი... სცივათ და შიათ...
ვერ აქოველებს იმედი მათ გულს!
განა მათგანი ბევრი ისილავს
იმ საოცნებო ნანატრ გაზაფულს?!
ილია რუხხაძე.



ଲୁତିଳେ-ମିଥିଲୀଙ୍କ,—ଶ୍ରୀରାଧା ରାଧାକୃଷ୍ଣଙ୍କୁ।



ტარაზობის გორასთან.



(ეპიზოდი ბალვანეთის ომიდან).

აღმამო უამი იყო. სამუშაოდან დაბრუნებულმა მარიცამ თავისი სამი შეილი, რომელთაგან უფროსი იყონენ თორმეტი წლისა იქნებოდა და უძუროსი ნატალა-კო ექვსისა, შინ შემოკუვანა, ბუხარში ცეცხლი გააჩილა, პატარა ჭვაბით კართოფილი მიდგა ცეცხლთან, ხელში საქონეი აიღო, ცეცხლის სიახლოვეს პატარა სკამზე ჩამოჯდა და ქსოვის მიკუ ხელი.

პატარა გებიც კართოფილის პახარშეის მოლოდინში ცეცხლის პირდაპირ მიწას დალაგდნენ და შეუდგნენ „ომიანობის“ თამაშო-

ბას. რამდენიმე პატარა ფიცრის ნაჭერი ერთმანეთზე, შეკრულებული ლავეს, ზედ ჯოხები გააწყეს და ვითომ მარისაცნ სროლაც დაიწყეს: „ბრძ! ბრძ ბრძ!“ — გაიძახოდნენ და თან ვითომ ამ ციხე გალავანს შეფარებულნი, გაწოლილნი მტრის ტყვიას ქმაღებოდნენ. ბავშვებრი თამაშობამ მარიცას ფიქრები უფრო გაამწვავა და თვალებზე ცრუმლები წამოადგა.

ოჲ, ჩემთ პეტერი, ჩემთ საუვარელო მეუღლევა, ნეტა თუ სადა ხარ? ნეტა რა განსაცდელი მოგელის?

— რა უსაშაროსოდ მოგვეპყრნენ, ოჯახის ერთად-ერთი შარჩეველი კაცი როგორ წაგვართვეს წყეული იყვეს ომი და იმისი მოგონი. იმას რომ იქ უბერურება შეემოხვეს, რაღა უნდა ვქნა მე უბერურმა, შვილები რიღათი უნდა ვაჩიჩინო?

— ოჲ, მ ცხოვარო, რად აატირე მოელო ჩერნოვირია, რად შემოსე ქვეყანა შევით და ბნელით?! გუშინ ბეტერმა პოლი-ციელმა მარკომ მითხრა: — ხვალ ჩენი სოფლის ახლოს, ტა-რაბოშის სიმაგრეებთან დიდი ბრძოლა მოხდებათ. ამბობენ მოელი დივიზია მიიღებს მონაწილეობასათ და თან ისიც და-უმატა, ევონებ, სამხრეთის პირველი რაზმიც მიიღებს მო-ნაწილეობასათ; — დღეს მოელი დღე ზარბაზნების გრუბუნ-გრუბუნი ისმის. ვინ იცის — მართლა სამხრეთის პირველი რაზ-მი იბრძეის და ჩემი პეტუნაც...

— ურა .. — უკაბ შელრიალეს ბავშვებმა, ზეზე წამოხტ-ნენ და ვითომ ხელ-ჩართულში ჩაერიცნენ მ ერს და მათ კი-შინას პატარა როზეის აზირებულმა უკეთაც მისცა ბანი.

ფიქრებში გართული მარიცა გულ-გახეთქილი წამოვარდა ზეზე და, რომ მიხვდა რაშიც იყო საქმე, ბავშვებს დაუტა-რანა.

თქვე წყეულებო, ონაერებო! რა გალრიალებთ! განა არ გესმით — მამა თქვენი რა განსაცდელშია? — ვინ იცის, ახლა ის იბრძეის... დაჭრილია... და თქვენ კი იქაურობას იქ-ლებთ! და თან მარიამ საშინელი ტირილი მორთო.

ბავშვები დარცვენილები და შემკრთალნი კელელს გაეკრნენ და იქიდან კვეშ-ქვეშ გამოჰყურებდნენ დედის ვაგლასს. პატარა როზეაც კუდ-აბოძუებული კუთხეში თავ-ჩაღუნული იჯდა.

ჰატიარა ნატიალა ნელ-ნელა მიეკიდა დედასთან, კალთაში
თავი ჩატარო და ტირილით მიუაღმერსა:

-- სუ, დედოქო, სუ! მაჩიძე მოვა, ხვალ მოვა მამა...
ზინეგბაც მოვკიტანს...

ოთახში სანთელი არ ენთო, მხოლოდ მკრთალი ნათელი ცეკვებისა ან ათებდა ამ შეუხარებით მოულ პატარა ოჯახს. გარშემო ჩამო-ჩაუმი არ ისმოდა, მხოლოდ ხანდისხან მარიკას ნამტირალეები სლოკინი გაისმოდა სიწუმეში.

უკებ როზეამ შექცევა და ფანჯარაც ვიღაცამ დაკაკუნა.

— ვინ იქნება ამ შეუალამისას? — გაოცებით სოფერ მარიკაზ
და თვალები კარებს მიაცეცა.

კვლავ კაცუნი მოისმა. მარიტამ ნატალა იქით მიაყენა, პირველი გამოისახა და კარები გამოალო.

— მშეიღობა თქვენთან! — სუსტის ხმით დაიწერჩულა კარებთან მომდგარმა ვაცეაცმა და საჩიაროდ კედელს მიეყრდნო, რომ არ წავიკულიყო.

— რა მშპავია შენ თავს, ძმობილო? — ხაჩქაროდ მოუკლოვდა გარიცა მოსულს: — ოს, ღმერთო ჩემი! გული გიშუნდება; დავტრილი ხაჩ? — შეკუყირა ქალმა და წაბარბაცებულ კაცს ხელი წაავლო.

— ივანე! წყალი ჩქარა, წყალი! სტუმარს გული უწუხს! —
და საჩქაროდ მოტანილი ლიტრიდან ავაღმყოფს წყალი ისხუ-
რა გაფიცრებულ პირისახეზე. მეტე ივანეს დახმარებით ფრითხი-
ლიად ხელ-მოკიდებული ოთახში შეიყვანა და ცეკველა-პირის
სკამზე დასვა. საჩქაროდ ცხელ-ცხელი კართოფილი თევზე
მოაწყო და წინ დაუდგა, პატარა სტაჭნით ღვინო ჩაყლაპა-
და მოასულიერა.

საზორელი სანახავი იყო მხლად მოხული: დაგლეჯილ-

დაფლევილი, უქუდოდ, თმებ აბურძგნული. ცალ ფეხში წარმოადგინა ასვა და ცალ ფეხშე-კი მარტო წინდის ყელი-ლა ეკიდა; ზუ-ლისპირ ჩამოგლეჯილ პერანგიდან სისხლით მოსერილი მკერ-დი უჩანდა; პირისახე მთლიად თოფის წამლით ჰქონდა გამუ-რული, ხელები ტალაბში ნარევი სისხლით დასერილი.

მარიცა; პატარები გაოცებით და სიბრალულით შექმუ-რებდნენ მოსულს. კარგა ხანს სრული სიჩუმე იყო გარეშემ, მხოლოდ ავადმყოფის ოდნავ მოძრავი ყბების ღეჭვა ვი-სმოდა.

— ომიდან მოხვალ? — დიდი-ხნის სიჩუმის შემდეგ შეეკი-თხა მარიცა მოსულს და თან მუხლები იუცაბცახდა. ღმერ-თო, ნუ თუ ჩემი პეტრუნის ამბავი მომიტანა რამ... იქნე-ბა კოცალიც აღარ არის!..

— დიალ... ომიდან მოხვალ... დილას საშინელი ბრძოლა იყო ტარაბოშთან... ათასობით გაწყდნენ ჩემი ძმები... ტა-რაბოშის არე-მარე დაჭრილი და დახოცილი გვამებით არის მოფენილი... კოცხალი და მკედარი ერთმანეთშია არეული... ათასი დაჭრილი კენების, შეელას თხოულობს და მშველეული-კი არიყინ არის!.. ექიმები, სანიტარები და ყოველი საექიმო საშუალებანი სადღაც ასცდა ჯარს... სასმელი წყალი... წყლის მიმტანი არ არის... მე თუმცა მხარში ტყევი მიზის და საშინ-ლიად მტანებევს, საშინელ, ჯოჯოხეთურ ტყევილს განვიცდი, მაინც წამოვევლ, ჯარიდან გამოვზავნილ შიკრის წამოვცევ... მინდოდა მომებმო საშეელიად ხალხი, მაგრამ ვეღარ შევძელ მოძრაობა და აქ რომ სინათლე დაეინახეთ, გაფრინდით. ღმერთა სიმაგიერო გადაგიხადოთ ჩემი შენდობისთვის. სული მოვი-ბრუნე... ამხანაგი-კი წაუიდა... ხალხი უნდა შევყაროს, გა-გზავნოს მისაშველებლად. დაჭრილ-დაკოდილ შეელა უნდათ, კინც გადარჩა — პატრიონობა უნდა, სმა-კამა... მიეშველეთ!

— მმობილო, — კვლავ კან კალით შეეყითხა მარიცა და-ჭრილს, — რომელი რაზმი იბრძოდა დღეს, ვინ იყო მთავარი სარდალი?..



— დასავლეთის საველე არტელერიის ბრიგადა, მარტინოვის ბრიგადა... ნოვიჩის სარდლობით...

— დასავლეთის არტელერიის ბრიგადა, მარტინოვის სარდლობით?! — ოქ, ღვთის მშობელო, შემიბრალე! — შეჰყვირა მარიცამ და სტუმრის წინ მუხლებზე დაეცა: — მაშ შენ იცი, უთუოდ იცი ჩემი პეტრიას ამბავი? რა მოხდა, მითხარი; ნუ დამიმალავ, — მითხარი...

„დინ, დონ, დინ დონ!“ — უცებ გაისმა ცკელესიის ზარის ხმა. მარიცა თებზე წამოხტა, შეილებს ხელები დაავლო, ზედ გადაეფარა და შიშით ზარ დაცუმული თვალები კარებს მიაჟყირა. — ღმერთო ჩემო! მტერი დაგვესხა? ! რაღა ვქნა — საღ და- ვიმალნეთ, სად წავიდეთ? ..

— ნუ გეშინიან... ნუ გეშინიან... — საჩქაროდ მიმართა მოსულმა: — ნუ გეშინიან! ზარს ჩემთან მოსული ჯარის კაცი რე- კავს: ზალხი უნდა შეჰყაროს. უნდა გამოუტადოს სოფელს, რომ დაჭრილთ შეელა უნდათ, საზრდოს მიტანა, მოვლა. — შენც წადი... შენ სახლს და შეილებს მე ვუპარიონებ, მანამ დაბრუნდები...

„დინ, დონ, დინ, დონ!“ — ჰაერში კულავგაისმოდა შემა ძრწუნებელი ხმა ზარისა და საძილედ მომზადებულ ზალხს თავ- ზარს სცემდა.

— წადი, ქალო, წადი! — აშურებდა დაჭრილი მარიცას. — თუ შენი მეულლე იქ იყო, იქნება ისიც ნახო, იქნება იმისაც სკირია დედაკაცის მოვლა, დახმარება! ..

— მაშ წავალ... — ღიღის ყოყმანის შემდეგ სთქვა მარი- ცამ, — შენ გაბარებ ჩემ ოჯახს, ჩემს ორს პატარას... საზრდო იქ არის, პური, კართოფილი, ცურცვი, ცოტაოდენი კვა- ლიც.

— ივანე! — მერე მიუბრუნდა უფროს შეილს, — შენ-კი მამყე... მამა მოვძებნოთ... იქნება მართლა უჭირს... იქნება ფეხმობს კიდეც — და გულ-ამოსკვილი ზარის ხმისკენ გიგ- ქარა.

ეკლესიის გარშემო აუარებელი ხალხი ტრიალებდნ, გულგაბეთქილი და მსართოლებარე უსმენდა ბრძოლის ამ-ბაცს, დაკოდილ-გაჭირვებულთა გამოგზავნილ შიკრის. მომა-ტებული ნაწილი დედა-კაცები იყვნენ; ვაკეაცნი, თითქმის ქუდზე კაცი, ომში იყვნენ გაწვეულნი. მოზარდი ქალ-ვაენი და წელში მოხრილი მოხუცნი, სუკველანი ტიროდნენ, გულ-ში იცემდნენ ხელებს, ზეცას შესთხოვდნენ სიბრალულს!

— დიასახლისნო, შეემზადენით, თან წაიღეთ რაც-კი გა-ბადიათ სასმელ საჭმელი, ღვინო, არაყი! წადით ჩქარა! — ხმა-ზალლა ყვიროდა შიკრიკი: — ყოველი წამი ძეირფასია უბედურ-თა სანუგეშებლად; — წაიღეთ საბნები, თბილი სახურავები. ურმები, ტექნები წაიყვანეთ, იქნებ ავალმცოფების წამიყვანა დაგჭირდეთ: — ახლავე წადით, ახლავე, განთიადისას იქ იქნე-ბით; აქედან სულ ოკი ვერსის სავლელია. მე სხვა სოფლებ-ში წიგილ: ახლა იმათ ვაუწყებ, შევამზადებ.

ეკლესიის გალავანი ისევ სწრაფად დაიცალა, როგორც სწრაფად იიქსო. მოელი სოფელი ფეხზე დადგა; ცველა კერა-ზე სანთელი აინთო და ყოველი დიასახლისი ფარი-ფუცით შეუდგა ჩალაგებას და ერთ საათზე სოფელ მურინიდან მოე-ლი რაზმი დედა-კაცებისა და მოზარდილ ქალ-ვაეთა, ურმების და შეკაზმული ტექნების თანხლებით, გზას გაუდგა.

ცველაზე წინ, ცველაზე მამაცად მარიცა მიღიოდა, ვეერ-ცით პატარა იქანე მისდევდა და ზურგით უშველებელ დაბამ-ბულ საბანს მიეზიდებოდა. პატარა როზე ძალლიც უკან მის-დევდათ.

ქარი ჩინიარდა. ჩინი, მყუდრო შემოდგომის ღამე იყო. სქელ ბურუსში გახვეული მთვარე ოდნავ ანათებდა იმ ზარა-გზას, რომლითაც ეს არა-ჩვეულებრივი რაზმი მიღიოდა. მი-მიგალთა შორის სრული სიჩუმე იყო გამეფებული. ცველა სევ-დას და შეუხარებას შეეპყრო. მართალია — ბევრ ამათგანს ტა-

რაბოშის პრძოლაში ამ ევულებოლა შეიღი, საყარელი მეუღლე, მაგრამ სუსელა ერთგვარად იყო ვამსკვალული სამ-შობლოსთვის თავიანწირულთა უბედურებით.

განთიადმა მოატანა. ქარჩა კელავ იწყო სისინი. მგზავ-
რები დაიღიალნენ; მეტადრე მოზარდებს სძლევედა ძილის სურ-
ვილი, მაგრამ შექმნება ფიქრადაც არავის მოსელია; სუსვე-
ლიანი დაუსვენებლივ მიღიოდნენ, ეშურებოდნენ ტანჯულ
ადამიანთა დასახმარებლად; და ეს სურვილი ისეთი შძლავრი
და გულწრფელი იყო, რომ დაღალელობას იფიციურებდა.

გათენდა. შეის სხივებმა პირისტრად შეღებეს ტარაბოშის
მაღლობები და მიმსვლელთ თვალწინ წარმოუდგათ იმ შრევერ-
ვალებზე ნაგები ციხეების ნანგრევები. გუშინ დიდებულად
გაღმომდგარნი, ათასი წლობით კაცის ხელით ნავები სიმაგ-
რენი, ამაყად და მძლავრად გაღმომკურენი მეზობელ ერის
სამფლობელოსკენ, დღეს რაღაც ნანგრევთა ხროვებს წირ-
მოადგენდნენ და ნანგრევებ შეუ-და-შეუ, მთის დაშვებულ
კალთებზე, ჯერ კადევ მწვანით შემოსილ კალთებზე. ადამია-
ნის სისხლი იყო დანთხული. ქა-იქ დაჭრილნი და მკუდარნი
გყარნენ; ცხენების და ადამიანების გვამები ერთმანეთში იყო
არეული.

დედაკაუთა რაზმი შექმნდა; თმები ყალბზე შეუდგა, მო-
ჰარდთ თვალებზე ხელები მიიღიარეს და მუხლებზე დაეცნენ...
აქეთ-რქიდან კვნესა მოისმოდა... ურვა და ვიში...

— ხალხნო; — მოისმა მძლავრი, პრძანებელი ხმა, და და-
ნიქილნი მოსურნი ფეხზე წამოცვიდნენ.

— აბა შეუდექით საქმეს: — ასწიეთ, წიაღება, მოასულიე-
რეთ დაკადილნი!

— მოსულნიც თავ-ვანწირულებით შეუდგნენ საქმეს:
წყლით ასულიერებდნენ გულშემოყრილებს, იარებს უხვევდ-
ნენ და ეზიდებოდნენ მთის ძირს გაშლილ ბანაქში; დასუსტე-
ბულებს ასმევდნენ არავს, ლეინის, აძლევდნენ საჭმელს.

ბევრმა მისულმა იპოვნა აქ დაკუდილი შეილი, შეისარგებელი — მამა. ბევრმა ნახა თავის მახლობელი, საშინლად დასახიჩრებული, ასო ასოდ დაგლევილი...

მარიცამაც ბევრი იმუშავა ბრძოლის ველზე. ბევრ დავრ-დომილს მისუა ნუგეშა, შეება; ბევრს შეუხვია თავისი კალ-



ოების ნაგლეჯით ტუვით დაგლეჯილი გულ-მკერდი, მაგრამ ვათ შორის თავისი პეტრიკა ვერსად იპოვნა.

შეღამდა. ბანაკში ზორი დაჟურეს. მეომარნი ყოველის მხრიდან შეიკრიფნენ და გაისმა მწყობრი, ღიღებული ჰიმნი

კაცთა ღალადისა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ კათა შინა,
წმინდა იყავ სახელი შენი“...

ათასი შეომრის ხმა, სამხედრო მუსიკასთან შეერთებული,
უმალლესი ჰარმონიით აღსავსე, გაიფანტა გარშემორტყმულ
მთა ველში და მურინიდან მისულნი დედაკაცნი და მოზარდ-
ნიც დაიმონავა. დალალულნი, ღონებისდილნი პირქვე დე-
კმინენ შავგორელთა სისხლით გაპოხიერებულ მიწაზე და
საერთო ლოცვაში ზეცად აღიმართნენ, ნუცემი ჰპოვეს, სუ-
ლი მოითქვეს.

მარტიკაც სხვებთან ერთად პირქვე დამხობილი ცრემლით
ასველებდა დედამიწას და სულით-კი ზეცად აღიმართა.

— დედა, მამა ეკოვნე! — ჩუმათ წასჩურნულა ივანემ დე-
დას და გამოაფხიძლა.

— იპოვნე? იპოვნე? . ოჰ, ზეციერო, ნუ თუ მართ —
ლია?! . — თრითოლენით და კანკალით შეეკითხა დედა შეილს.

— კარვების იქით საჭმელსა ხარშავს ჯარის კაცებისთვის...
კარგად არის... როზეამ მიაგნო... მაგრამ, ავერ—თითონაც
მოდის...

ეკ. გაბაშვილი





ପ୍ରକାଶକ ହିନ୍ଦୁ ପ୍ରକାଶନ.

ილა იყო. და მთა ბარი
სანეტაროდ ციმუშებდა,
ფოთოლთ სკემდა სოთ ნელი
და ტყე გრძნობით ქვითინებდა.
სოსანს პირი ულიმოდა,
გადახსნოდა იას გული,—
სასიკოცხლოდ ერთდებოდა
ცის და მიწის სიყვარული
ლურჯ სივრცითა ცეცხლის უფალს
ბინდი სრულად წაეშალა
და ოცნებას თავისუფალს
ფრთხები სხივზე გაეშალა.
ირველივ ჰეთქედა აღტაცება
ყოველ არსთა სანატრელი:
ჩიონების ერვილ-კვნესა,
შაშვთა სტვენა უდარდელი,
ვით სიკოცხლის ჰარმონია
გარეშემი ინთქებოდა
და ახალი ძალთა ძალი





ଦୁର୍ବ୍ୟବ୍ଧାଶୀ ପ୍ରେମ୍ଭ୍ୟବ୍ଦିତା,
 ମାଘରାଥ ପ୍ରତି ପାରଦିଳି ଦୁର୍ବ୍ୟକ୍ଷୀ
 ପଦ୍ମା ପଦ୍ମାଦ ପାଦାର୍ଥପୁରୁଷ,
 ଦୁର୍ଲଭଦୁର୍ଲଭ ମହାର୍ଯ୍ୟଦ ମୋହିନୀ,
 ଦୁର୍ଲଭୀ ଦୂର୍ଲଭ ପାନାଦୁର୍ଲଭ
 ଏ ମୁହୂର୍ତ୍ତିଦିନାନ ବିଶ୍ଵାଲି ବ୍ରଜପ୍ରତିତା,
 ପରିପାଲିତ ପ୍ରୟୋ ଦାନାମଲାଲି...
 ତୁଗଲୀ ମନ୍ତ୍ରିକା ମାତ୍ର ହିନ୍ଦୁରାତି
 ଏ ଶ୍ରେଷ୍ଠିତଥା:— „ହେମି ଦାମ,
 ଅଶ୍ରୁ ମହାର୍ଯ୍ୟଦ ରାତା ପମ୍ବନାୟ,
 ରା ମନ୍ଦିରପ୍ରେତୀ ଶାପନଦାୟ?
 ଶ୍ରୀଲିପି ବନ୍ଦ ଏହି ଦାଙ୍ଗପାରିଗାସ,
 ଏହି ଶିଥିଶିଲିତ ବନ୍ଦ ଏହି ଶରୀରା?
 ଶ୍ରୀନି ପ୍ରେସା ଏହା ରାତ୍ରି ଶିଶୁୟ,
 ତୁମେ ରାତ ଶନିଦା ପାଶିପିରିବ?..
 — „ଏ, ହିନ୍ଦୁରାତ୍ରି, ରାତ୍ରି ଶିଥିଦେବି,
 ଏ ଶବ୍ଦରେ ପାଇତ୍ତୁମୁଁ ପ୍ରସାଦେବ?—
 ଶ୍ରୀ ଶ୍ରୀଲିପିଦି ପରିପ୍ରେଷାରୀ ମନୋଲିତ,
 ମାତର୍ତ୍ତ୍ଵରୀ ଶାକ୍ୟନୀ ପ୍ରେତିଦେବ,
 ଶ୍ରୀ ମିଷ୍ଟାରୀ ଶିଲ୍ପା-ଚମ୍ପେଲିତ,
 ମାତର୍ତ୍ତ୍ଵରୀ ପ୍ରଫନ୍ଦେବ, ମାତର୍ତ୍ତ୍ଵରୀ ପ୍ରପଦେବ.
 ମାଘରାଥ ମାତରୀ ଶାକ୍ୟପାର୍ଯ୍ୟଲି
 ପ୍ରୟୋ ହେମି ପ୍ରତିକ୍ଷା ପାରଦିଳ,
 ଏ ମାତରୀପ୍ରପଦେବ ପାତ୍ରଶିଲ୍ପେଲି,
 ପାନମିଶିଲ୍ପେ ପମ୍ବନା-ପାରଦିଳ.
 ଏ ଶାନ୍ତିର ଏ ପରିପ୍ରେତିମା,—
 ଦାଙ୍ଗପାରିଶ୍ରୀ ମାଲ୍ଲାରୀ, ଲମ୍ବରତା,
 ଶ୍ରୀ ପାଇଶ ପାନଦେବ ଶ୍ରୀଲିପି,

რომ სიკოცბლე მოკლა ერთი..

— „მერე ზენ რაই კისი რა ხარ?

რად დაიწვი მისოვის გული?

— „ჴა, ჩიორა, იყი არის

ჩემი წმინდა სიყვარული!

— „ჩემო დაო, რას სულელობ:

სად ვარდი და სად ბულბული!

მას ბულბულში უპასუხა:

— „ყველასა აქვს გრძნობა, გული,

და ვარდშიაც არის სრულად

იყი მაღლი ჩისახული.

მაგრამ ყველა ვერ მიხვდება

ბუნებისა ძალათა-ძალსა,

და მის გამო, ზოგი კაცი

მრუდეთ ხმარობს საშართალსა,

მე-კა, ვიცნობ ვარდის გრძნობას,

ისიც იცნობს ჩემს ტკბილ ხმასა

და ერთმანეთს ეუმხელო ტრუობას,

უუზიარებთ გულის თქმისა“.

— „მესმის; მაგრამ სისხლი რად გდის?“ —

შეეკითხა კვლავ ჩიორა,

და ნისკარტით ჭრელი ფრთები

ამპარტავნად გისტორა.

— „სისხლი რად მდის? — რას ყმაწვილმა

მას შეახო სამტროდ ხელი,

ერუანტელმა დამიარა,

ტანჯვას ველარ გაუქელი

და, შიშითა ბრუ-დასხმული,



ମୁହଁରଦିତ ପ୍ରାଣୀ ଗାସ୍ତ୍ରାରି;
ମନ୍ଦିରରେ ନେମି ଘୁମିଲିଲ ଶାତ୍ରତ୍ରି,
ଥେବୁ ମଧ୍ୟରେ ସିନ୍ଦିଲିଲ ଲୋରି.
ଏବୁ ଏବୁ: ଅନ୍ଧେ ସୁଲି
ଶ୍ଵେତରେବା ଶ୍ଵେତରୁଲିବା,
ଫଳିତରେବା ମାନିନ ଘୁମି,—
ଯିମନିନ୍ଦବା ରଖି ଚିପଲୁଲିବା.“
— “ଆଜି, ଶୁଣୁଣୁଣୀ ହାମ ଯନ୍ତ୍ରିଲିନ୍ଦାର!“
ଶତକ୍ଷୀର ନିରାମି ରୂପିନୀ ନିରାମି
ଏ ବାଦମିପୁରିଲ ନାଗାରୀକ୍ଷେନ
ବାଦମିରିନ୍ଦା ମିଶ୍ରମୁକ୍ତ ଫରିତିତା...
ଦୁର୍ବିହୀ ରଙ୍ଗା ବାଦାରିପୁଣିଲି,
ନିରା ନେଲାଦ ସିନ୍ଦିନ୍ଦିବିଦା
ଏ ମୁଲମୁଲି ତାପିଲ ବାରଦିନ୍ଦି
ବୁଲା-ବିଲାକ୍ଷଣିତ କ୍ଷେତିନ୍ଦିବିଦା.

୬. ନିରିକ୍ଷାପଦ୍ଧ.





უპელის დროის გავშვის თავ- გადასაცალი.

(შეხაფალი).

რას ეკითხებოდა მამას პატარი ქორქი?



როხელ, როდესაც ბავშვები დაითხოვეს საზაფხულოდ, მამა და შეილი ხელიხელ გაყრილი დასეირნობდნენ ქალაქ გარედ; მოსწავლე ბავშვი იქნებოდა უძეტ-თოთხმეტი წლისა; დასეირნობდნენ — როგორც ძველი მეგობრები და ბაასობდნენ სხვა და-სხვა საგანზე: — უხოველებზე, მცნაარეებზე, ქვებზე და სხვა-და-სხვა...

დაინახეს შეგროვები ქვები, რომლითაც გზა-ტკეცილს აგებენ; ბავშვმა ჰქონხა მამას:

— იუ, მამა, ერთი რამ არის, ახლა მომავალდა, რის

გაგტება მინდოლა, და ამისსენი, თუ შენთვის მოსაწყლენილობა
ექნება...

— რაშია საქე, ჩემი ძეირდისო ეორევი? — ჰეთხა მაგამ, რომელიც სრულებით არ ელოდა ამ კითხვას: — იურ რა, მა- დი დაესხდეთ ის ამ მოლშე: უკეთესად ფიბასებთ.

საქმე ით რაშია, მაგა; მითხარი, რას აკეთებდნენ, როგორ თამაშობდნენ, რას სწავლობდნენ, ერთი სიყვით-როგორ იტარებდნენ დროს დილიდან საღამომდის; — მაშინ ხომ არ იქნებოდა არც კლასები, არც სკოლები, — პატარა ბიჭები და ქალები, რომელნიც ცხოვრობდნენ ძველ დროს. ამ! ახლა კელარ მოვიყონე, როგორ ეძახდი შენ იმათ.. ერთი სიტუაცით გამავებინე რამე იმ დროის შესახებ, რომელზედაც შენ და შენი ამანავი ჯემსი ლაპარაკობო ხოლმე საღამოში-შით.

— ეშ! ეშ! წიმონძება მაშაბ: — აი კითხვაც ეს არის! ხოლო,



ქვის ცული, მღვარე
სომხეთს ნალექში იპოვ-
ნეს. (ნამდვილის 1.
არის).


Առաջ զամուշը պայման կո. ո, ից
թո ծովածա: և սմբալցու դրո, հո-
մելութեաւ է հայ ըլութեայ ամետ եղալից,
համութենոմց եանագաա քայլութեալո.—
Մյո Մյունիլու մետուինո, հոմելու
ցոնճա. առու ացութեա ու սրուրու ու-
ցու մայմութեա գա գորամութեան: մյո-
լո ու սրուրու ոնքութեան, հինգուուս,
և առևտուս գա սանցիմեատու մըեց-
րեալութեա աստուզ մյուլո ու սրուրու
պէտ հոմելութեա, զալութեա, ու չո-
լուա զալութեա, հոմելոնու, հո-
մութեա ու, իցնո ինօնարնո ույնեան.
Մյո մոտեանո — հոմելո ու սրու-

შენ მითხოდი — რომელი ისტო-
რია უფრო გაინტერესებს, და მეც ვეცდები ვითბო იმ დრო-
ის ბავშვების თამაშობისა და მუშაობის შესახებ.

— ამ! არა, მანა, მე სრულებითაც ამ ხალხზე არ ვლი-
პირაკობ. მე მომავონდა, და შენც არა ერთხელ გითქვამს,
რომ ამ უძველეს ხალხის ისტორია უოტად თუ ბევრად ცნო-
ბილია; არა?

— მართალია. ჩაშ რომელ უცნობ ხალხზე მეღაპარა-
კები?

— მომისმინე, მამა: ახლავ ვეცდები ნათლად გამოესთქვა
ჩემი აზრი. როცა ბ. ჯემსი მოვა ხოლმე შენთან, თქვენ რა-
ლაც უცნაურ ქვებს სინჯავთ და ამასთან საშინელ გრძელ სი-
რყებს ამბობთ, რომელიც
მე არ შესძის; ის ქვები
უოტათი ამ ქვებს მავო-
ნებენ — ჩენ წინ რომ
გრძელება ყრია, ხოლო იმათ
სულ სხვა მოსუანილობა
აქვთ. მათ შორის არიან
გრძელი, თითქმის პრტყე-
ლი და მერელი ქვები,
რომელიც ძეველ დასილუნ-
გებულ დანის პირს გვა-
ნან. არის კიდე დიდრონი
და მრგვალი ერთ ბოლოში
მოწვრილებული ქვები.
არიან აგრძელე მოგრძო-



კაუსაგან გაკეთებული ისრის
ქვები.


ბი, რომელიც წააგვანან ხორციან მცენარეების ფოთლებს: ეს
ქვები შეუმი მსხვილია, ნაპირები-კი დაქბილული აქვს. ზოგი
კიდე შეუბს ჰგავს.

— აა; შესძის! შენ ჩემ „კაუსაგან“ ლაპარაკბ, კორეკ!

— ი, სწორედ კაუსაგან კლაპარაკობ, მამა. შენი კაუსა
შექულია რალაც მოთეთრო, ან მოყვითანო მინანქრით; სხვე-
ბი კიდევ, რომ დაამტვრევ, შიგნით მუქი ფერისაა. მავისთა-
ნები მე სხვა-და-სხვა ბოტანიკურ ბალში მინახავს.

— შენ გულუბრუვილო ხარ ჩემთ ქორეფი, და შთმაც დალიან დაკვირვებული. მაგრამ ვერ გამიგდა რას ჩააცა ვდი ამ ჩემ „კაქს“, ჩემ საცოდავ „სუცხლის გამწენ ქვებს.“ იქნება თოფებისთვის კაეის მომზადება გინდოდეს? თუმცა ახლა სრულებით აღარ ხმარობენ კაეის თოფებს.

— არა, მამა, სრულებითაც არა. მე მახსოვს შენ ამბობდი .. მაპატიყ, იქნება უხერხული იყო ჩემის მხრივ, რომ უურს გიგდებდი, მაგრამ შენ ხომ მაღლი ხმით ლაპარაკობდი, მესმოდი, შენ რომ ბ. ჯემსს ელიაზარაკებოდი. დიდი ხანია მას აქეთ, რაც ეს კაეუბი გათლილია; გაუთლიათ ხელით, ქვის საშუალებით. ამ ქვებს ხმარობდნენ ჩაქუჩისა და მჭრელი იარაღის მაგივრიდ. იმ დროს ადამიანში ჯერ არ იცოდა არც სპილენძი, არც რკინა და კიდე ბევრი სხვა რამე. რაც ახლა ჩვენ ვიცითო. შენ ამბობდი, რომ ის კა



კაეისაგან გაკეთ. შესხს თავები

ეცი უძელესი ველური ხალხის გათლილი იყო; მაღლიან დიდი ხანია მას აქეთ; იმ დროს ხალხი უვალი და ველური იყო, დაბლა იდგა ახლანდელ ველურ ხალხზე, რომელიც ცხოვრობს შორეულ კუნძულებზე ..

— მაშ შენ სუკელაფერი დაიხსომე, ჩემო პატარა ბ-ჯუნა? — გააწყვეტინა შამამ, რომელიც ლიმილით ზესკეროდა თავის შვილს და გულმოდგინედ უურს უგდებდა იმის ლაპარაკს. ეს ძალიან სასიმოვნოა: მშეენიერი მესხიერება გქონია მართალია, ყველა ეს მკუთხვის ძეგლ დროს, ძალიან ძეგლს, როგორ; ენ ეძახი, რომელიც მართლა, საშინლიდა შორებულია ჩვენშე და თითქმ შეუმჩნევლად გიარა, და

დადგა სხვა ხანა, იგრედვე ვიცით, იმის ხსოვნამ ჩვენი დიდი მოაღწია სხვა-და-სხვა გაღმოცემია, ლეგენდების და დაწერილ ისტორიის საშუალებით. აი, ამიტომ იმ „შენ ხანას“, რომელ-საც ძველთა უძველესს უწოდებ, ისტორიის წინასწარ ხანას ეძინათ. იმ ძველ დროში, ჩემი პატარა ქორეკი, ჩვენ შშვენიერ საფრანგეთში, სადაც მე და შენც ვუხოვრობთ, იყვნენ მოხერიალე და მობინაფრე ტომები—ურიად საკოდავი ხალხი, კოტად თუ ბევრად ლონიერი, კოტად თუ ბევრად მოხერხებულები, სახოგადოდ-კი ულამაზო. ერთი სიტყვით—პირველ-ყოფილი ხალხი რყო, იმათი არსებობა, ჩვენ ქვეყანაში იმათი ყოფა-ცხოვრება სულ ახლაბან გამოიკვლიეს, ამ საუკუნეს დასაწყისში.—ისიც მას აქეთ, რაც კაეგბი იპოვნეს. ეს კაეგის იარაღი იპოვნეს დედამიწაში ცხოველების ძვლებ-თან ერთად. მაშინ ცხოველები ან უხარ მახარი ან რაღაც უცნაურები იყვნენ. ამ ცხოველებს ებრძოდნენ და სკამდნენ კიდეც. შეტი ნაწილი ამ ცხოველებისა დიდი ხანია მოისპო, არამც თუ მარტო საფრან გეთში, არამედ მთელ და დამიწის ზურგზედაც-კი.

— ჩემი მამა, არ მინ-ი მოგაწყინო, მაგრამ, ძალიან-კი მინდა გვიგვ... ერთი მითხარი, ამ უძველეს ველურებს ხომ ჰყავდათ პატარა ბიჭები და გოგოები? არა?

— რასაკეირველია, ჩემი ძეირიფასო... სულ რამდენიმე წელიწადია მას აქეთ,



კაეგის ისრის თავები.

რაც საფრანგეთში ერთ მღვიმეში იპოვეს ჰატიათი ბავშვის ჩოხა
ჩინ; ალბად შეილი იყო ერთ რომელიმე უძველეს ქვების
მთავრებობა.

— რადგანაც შენსა და შენი ამხანაგი ჯემსის ლაპარა-
კიდან გავიგე, რომ ამ „ქვების მთლიალებს“ მთელი თავისი სი-
ცოცხლე სხვა-და-სხვა ველურებთან და ნადირებთან ბრძოლაში
უნდა გაეტარებინათ, უნდა ებრძოლათ აგრედევე წვიმისთან,
თოვლთან და ყინვესთან, მეტადრე შეუწყნარებელ მუდმივ
შიშილოთან; მე მინდოდა აგრედევე გამეგო...

— ဒေါ်! မာရ်တာလေ့ သာ။၊ ကမ္မတက ဖြေားပြေားရှုံးပေး စာမျက်နှာတွေ ထဲမြင်နေတော်းပေး မိမိမူမှုများ၊ မိမိမူမှုများ၊ မိမိမူမှုများ၊

— ახლა რაღვანაც ყველა ეს კი-
ცი, მინდა კიდევ ისიც გავიგო, რას
აკეთებდნენ პატარა ქალები და ვა-
კები, როდესაც მათი შშობლები, ეს
უბედურები, ყოველ დღეს არსებობი-
სათვის ბრძოლაში ატარებდნენ და
ამისთანა მძიმე შრომით, შოულობდ-
ნენ საზრდოს. ეს პატარა „ისტორი-
ის წინასწარი“ ბავშვები, რომლებსე-
დაც არაფერს ამშობს, ძალი-
ან შეინტერესე ენ, რაღვანაც მე
თვითონ ბავშვი ვარ! რას აკეთებდ-
ნენ, სად მაღავდნენ ამ ბავშვებს,
როდესაც მძები, როგორც უფრო
ჯან-პროფესიები და ღონისერები, მი-
დიოდნენ სანადიროდ, სომხად, თა-

— տեղուած չու զօջոցը, իցմու մյջոնքնու, առևայ թուեց, և

ვეცდები უველავერი გიამბო მოკლედ, შენთვის გასაგებმა და გადა-
ხოლო ამ წუთში-კი არა. არც დღეს და არც ხვალ, რადგა-
ნაც მე სწავლული არა ვიჩ, ცოტა მოფიქრება და წიგნების
გადათვალიერება დამტირდება, ხოლო ამას გთხოვ, რამდენიმე
დღე მომიტონო და მერე წარმოგიდვენ წერილობით ანგარიშს
ამ საკითხის შესწავლის შესახებ, აგ-
რედვე მოკლედ გიამბობ, რას სწერდ-
ნენ მეცნიერები ამ ხალხზე და იმე-
დიცა მაქეს, რომ თუ ჩემი ნამბობი
საესტებით არ დაგავმიყოფილებს, და-
ვაინტერესებს მაინც იმდენად, რამ-
დენადაც საინტერესოა ამბავი პირ-
ველ-ყოფილი რობინზონებისა.

ამ დაპირების შემდეგ მამა და
შეილი წამოდგნენ; ლაპარაკი სხვა
საგნებზე გადაკიდა; გაუყარეს ერთ-
მანეროს ხელი-ხელს და განაგრძეს
შეწყვეტილი სეირნობა.

ერთი კვირის შემდეგ ეორება
მიიღო მამისაგან რამდენიმე დაწერი-
ლი ფურცელი და მაშინვე შეუდგა
კითხვას: ეტყობოდა — ძალიან საყუ-
რადლებო იყო.

მეც მქონდა უფლება წამერებითა
ეს ხელონაწერი. როდესაც გაეთავე
კითხვა, მეც ის ახრი მომიტოდა თავ-
ში, რომ ამისთანა მოკლე ამბები და სურათები ძველი დროი-
დან ეორების ხნის ბავშვების ეს შეადგენს ახალ, სასიამოვ-
ნო და საღ გასართობს, იმ შემთხვევაში, თუ ეს კრებული
კარგად იქნება გამოცემული და თან ჩართული ასახსნელი
რამდინიმე სურათი. აი ახლა ეს გეგმა და სურვილი განხორ-
ციელებულია.



გაფის იარაღი უძველეს
დროის კაცის საღვამში
ნაპოვნი სალიუტრები.

ამდა, ჩემო პატარა შეგობრებო და ბავშვებო მსუბუქი დაქვემდებრების განვითარების მიზანით აღმოჩენილი გაიგოთ, თუ ისურვებთ, რო-
გორ და რა მოუწოდ მამამ შეიღლს შეკითხვაზე და როგორ და-
სწერა ამბავი „ისტორიის წინასწარი პატარა ბავშვისა საფრან-
გეთში“ ამისათვის უნდა წაიკითხოთ ქვემოდ მოყვანილი ამ-
ბავი.

მარიოამ იაშვილი.

(“შემდეგი იქნება”).





ვლადიმერ ალექსეევ-მესხიშვილი.

10^მ თებერვალს ქართველებისათვის დიდად სამხიარულო
და საგულონისმო დღესასწაული იმპერატერი ტფილისში.

ჩენ სახელოებ და საყვარელ ირტისტს ვლადიმერ ალექ-
სი-მესხიშვილს მისი ნიჭით აღფრითოვანებული და მადლიერი



ერთ უმართავს 30 წ. სასუენო მოღვაწეობის იუბილეის დღესასწაული რედაქტურაში დაიდგინა მიიღოს მონაწილეობა ამ საყოველთაო დღესასწაულში, მიულოცოს და უსურვოს კვლავ მრავალ წელს სიკოცხლე და მოღვაწეობა ქვეყნის სასაჩვებლოდ და ხელოვნების ხაყვ კებლად.

მენება ნინოს დღესასწაული.



წუმცა ქართველ ხალხისათვის ყოველთვის სათაყვანებელი და დღი დღესასწაული იყო მის განმანათლებელ წმინდანის სახელწოდების დღე 14 იანვარს, მაგრამ შარპეანდლამდის, ე. ა. 1912 წლის დაწესებულებებში, გარდა ქართველ ეურქოლ-გაზეთების რედაქციებისა, არ იყო მიჩნეული დღესასწაული და არსად არ უქმობდნენ. 1912 წელს-კი კავკასიის მთავრობამ დააკანა ეს დღესასწაული კავკასიის სასწავლებლებისათვის და 14 იანვარი კავკასიის სასწავლებლებში უნდა იუქმონ. წლეულის-კი ტფილისის თვითმართველობაშაც დააწესა ეს დღესასწაული ქართველ მოხელეებისათვის. ქალაქის თვეშა გამოუტადა ქართველებს, შეგიძლიანთ იუქმოთ 14 იანვარი, თქვენი წმინდანის დღესასწაული.

კავკასიის მთავრობამ დააკანა ეს დღესასწაული კავკასიის სასწავლებლებისათვის და 14 იანვარი კავკასიის სასწავლებლებში უნდა იუქმონ. წლეულის-კი ტფილისის თვითმართველობაშაც დააწესა ეს დღესასწაული ქართველ მოხელეებისათვის. ქალაქის თვეშა გამოუტადა ქართველებს, შეგიძლიანთ იუქმოთ 14 იანვარი, თქვენი წმინდანის დღესასწაული.





1912 წლის შინაური მიმოხილვა.



ემო მეითხველო, სულიოთ და გულიოთ გილობავ ახალ წელს და გისურვებთ მხნეობას და ენერგიას! გვაცერა, რომ წარსული წელი თქვენთვის უბრალოდ არ ჩაივლიდა და ფიზიკურ ზღაპთან ერთად, განებრივადაც. გაიხდებოდით; თუ ეს ასეა, თუ თქვენ გაკეთილებთან ერთად ცოტათი მაინც თვალს აღეცნებდით ეროვნულ ცხოვრების მიმდინარეობას, სიხარულით ნიკეთებებით ამ სასურველ მოქლენას და ჩეენც ჩეენი მხრით მოქლედ გადაჯიშლით წარსული წლის სურათებს, რათა ნათელი წარმოდგენა იქმნიოთ სამშობლო ქვეყნის მდგომარეობაზე.

პირველად, როცა წარსული წლის განხილვას შევუდგებით, თვალ წინ დაგვიდგება ძსევ მომავალი თაობის სურათი და ის შედეგები, რომელიც მათ ცხოვრებას ძოშვევა. მართალია, ამ დარგში დიდი რამ ცულილება არ მომზდარა, მაგრამ მნიშვნელობა-ები მაინც ჰქონდა და ექმნება საზოგადოდ ჩეენთვის და კერძოდ — სკოლისათვის. ეს სასურველი მოქლენა გახლავთ ის მოწიფეთა ხშირი ექსკურსიები, რომელიც მოხდა ამ ზაფხულს



სხვა-და-სხვა ქალაქებიდან — ქალაქებში სასურველი სამართლებრივი იური, რომა პატარა მოწაფეები თავითმ მასწავლებელთა თან-ხლებით, თვეალიერებდნენ საქართველოს კუთხებს და, ქა-ლაქის მოშამულ ჰაერით შენუთულნი, ლალი თამაშით ინთებოდნენ ბუნების მშენიერებაში. ყველაზე ნაში ბავშვის ბუნებაა და ამ ბუნების საზრდოს მხოლოდ ბუნებაშივე ჰქო-ვებს ის! აქ ის ეცნობა ბუნების სილაშაზეს, მის სიცუმ-ლოებას და მცენარეთა სიფაქიზეს, რომელსაც ჩენ სუ-ლიერ მდგომარეობასთან ის კავშირი აქვს, რომ ეს მშენიე-რება და სიფაქიზე ჩენს არსებაში ინსტრუქტორად გადადის, სიცოცხლისა და წმინდა გრძნობის ლტოლვილებას გვიღებ-ებს... ჩენი სკოლის მთავრობა მიხედა ამ დიდად სასარგებ-ლო და სასურველ საქმეს, რასაც სიამოვნებით ჩეგებებით და-ვისურვებთ, რომ მომავალ გაზაფხულს ეს მოვლენა მოთხოვ-ნილებად ქცეულიყოს და თავისუფალ დროს გატარების მიზ-ანი სამშობლო ბუნების გაცნობაში ეპოვოს ჩენს მოხა-რდ თაობას!..

მაგრამ ცხრას თორმეტი წელი მარტი ამით არ არის შესანიშნავი; მან ბევრი ტკბილ-მწარე სურათები გადავვიშალა-თვეალთ წინ, ბევრი ცვლილება მოხდა ცხოვრების ამა თუ იმ დარღვი, მაგრამ ყველაზე ნეტარი და ეროვნულ გრძნობის განმაცხოველებელი იყო ჩენი სახელოვანი მკონის, აევი-მოგზაურობა რაჭა-ლექსიუმში. ხალხმა მოელი თავისი არსებით-იგრძნო ის ეროვნული მთლიანობა, რომელსაც ორმოც და-ათ წელიწადს უგალობდა და უგალობს ხაყვარელი პოეტი. გლეხი და აზნაური, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, აღტა-ცებით ეგებებოდა საქართველოს მნათობს და, ულრმეს მაც-ლობის ნიშანად, ფიანდაზად უფენდა სულსა და გულს. ყველა-კუთხე გზენიდა თავის წარმომადგენელს, რომ ტკბილი სა-ლამი მიეტანა დიდი მგონის წინაშე. საუკუნის განმავლობა-ში მიჯაჭული ერის გრძნობა და გული, უამთა კითარებით

დადუმებული სულიერი აღმაფრენი, — წუთიერად მოსწულდა დუ-
მილს და თავისი შეისნის აღმაფრენასთან ერთად მაღლა იკვ-
რა. ეს მოგზაურობა და დღესასწაული სამუდამოდ აღიბეჭდა
რაჭელ-ლექსუმელთა და ცყველა ქართველის ხსოვნაში...

ამავე წელს, ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან
დაარსდა ლარიბ მოწაფეთათვის უფასო სახადილო პოეტ ვახ-
ტანგ ორბელიანის ასულის ქნეინა მარიამის შეთაურობით. ეს
ის ვახტანგ ორბელიანის რომლის ასი წლის თავი ვიდღესა-
სწაულეთ წელს, მისი პოეტური მოღვაწეობის გამო... ვინ
არ იცის, რამდენი ლარიბი მოწაფე გვყავს, რამდენი ლარიბის
შეილი ზის შშიერი სკოლის სკამზე და, მათი ასეთ-ნაირი დახ-
მარება, სწორედ რომ საუკეთესო წამილია! ვისურვებთ, რომ
ამ ქველ-მომქმედ ქართა წრეს კიდევ მცტი ენერგია გამოიწი-
ნოს და მეტი დახმარება გაეწიოს ჩეკნი პატარებისთვის.

ახლა გადაეცემ სახელმწიფოს კითარებაშე. რუსეთში
ექვსი წელიწადია შემოიღეს ისეთი მართვა-გამგეობა, როგო-
რიც ევროპის სახელმწიფოებში არის. ამას ჰქვიან სახელმწიფო
სათათბირო. ყოველ ოთხი წლის განმავლობაში იჩიევენ ხალ-
ხის წარმომადგენლებს, რომელნიც ერთად იქრიბებიან პეტერ-
ბურგში და მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს კანონმდებ-
ლობაში, მსჯელობენ ხალხის მდგომარეობის შესახებ და სხვ...
ამ წელს ჩეკნში მეოთხეულ მოხდა სათათბიროს არჩევნები და
საქართველომაც გაგზავნა თავისი წარმომადგენლები.

აგრელვე უურადლების ლირისია ქართული გამოცემების
სიმრავლე. იყო დრო, როცა მხოლოდ ერთი გაშეოთი გმირ-
დიოდა საქართველოში. დღეს-ეს ჩეკნში რამდენიმე ფურ-
ნალ-გაზეთი და ორიც საყმაწვილო უურნალი გამოდის.
ცყველა ამ გამოცემებს თავიანთი მკითხველი პყავს და ჩეკნი
ცხოვრების მიმდინარეობას ცყველა თვალს ადევნებს...

აგრე სამი წელია, რაც ჩეკნში ეთნოგრაფიული საზო-
გადოება დაარსდა და, ამ სამი წლის განმავლობაში, ბევრი

შესანიშნავი სიძველენი შეაგროვა მომავალ ქართულ შემცირების მისათვის, პატივულ ექვთ. თაყაიშვილის მეთაურობით. ამ საზოგადოების შრომა დიდად ნაყოფიერია და იმედი უნდა კიქონით, რომ მომავალში ბევრ ისტორიულ განძს შესძენს ჩეცენს მუზეუმს.

ამ საზოგადოების გვერდით დგანიან შეორე დარგის მუზეუმი, რომელიც ისტორიული კვლევა ძიებით ნათელს ჰქონის ჩეცენს წარსულ ცხოვრებას. პროფ. მარტი დიდი ხანია გულმოდგრინედ მუშაობს სომხეთის დედა-ქალაქში, — ანში, კვლევს ძველ წარწერებს და იმ დროის ვითარებას, როგორც ქალაქი ჰყოვთ და თამარ შეფის მფარველობის ქვეშ.

საყურადღებო იყო აგრელვე პრივატ-დოკუმენტის ივ. ჯავახიშვილის ლექცია: „ძველი ქართული ხელოვნების ისტორია“.

იმავე წელს გადაწყდა საბოლოოდ კახეთის რკინის გზის საკითხი და გზის გაყვანასაც შეუდგნენ. ეს სასიამოვნო მოგლენაა ქართლ-კახეთისათვის, რაღაც ქალაქებთან დამოკიდებულობა ხილს ბევრად გაუაღვილდება და შეძლება მიეცემა ვაჭრობა-მრეწველობაში ჩიგბას...

ზავრამ თუ იმდენი სასიხარულო რამ მოვიტანა წასულმა წელმა, სამწუხაროც მოპყავა მას. ამა რომელ თქვენგანს არ წაგიკითხავთ მომხიბლავად და მიმზიდველად შედგენილი ჩეცენი საყვარელი „დედა-ენა!“ ამ „დედა-ენის!“ და სხვა სახელმძღვანელოთა იერორი იაკობ გოგებაშვილი საუკუნოდ მოვატაც ულმობელმა სიკვდილმა და მით ერთი მწარე ბეჭედი დააჩინა საყმაწვილო ლიტერატურას. გოგებაშვილი ორმოც და ათი წელიწადი მოლვაწეობდა სამწერლო ასპარეზე და ერთხელაც არ აუხვევია გვერდი საყვარელ მიზნისათვის. გასხომური ნიჭით ჩასწედა ის ქართველ ბავშვთა სულსა და გულს, ქართველი ხილხის ზეგწვეულების. თავ-გამო-დებულ შრომითა და ენერგიით, თავისი საქმე მაღლით შემო-

სა. ა. ეს დაუცილებარი მასწავლებელი საუკეთესო მიგალითია, თუ რა გზას უნდა დაადგეს ჩევნი თაობა და საით უნდა წამართოს თავისი ნიჭი და ძალა. გოგებაშვილის მრწამსი იყო: სამშობლო და დედა ენა!..

ამ საყვარელ მასწავლებელთან ერთად დავყარჩეთ ჩევნი ქველი ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი პრივატ-დოკუმენტი აღ. ხახანაშვილი, რომლის მოღვაწეობა წაუშლელია დარჩება ისტორიულ ლიტერატურაში. მოკლე იურ მისი სი-ცოცხლე, მაგრამ ეს მოკლე დრო სამშობლოსთვის შრომას ჟესტირა და თვისი ქონებაც მასვე უანდერდა. ამ ხევედილსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩევნი თაობისათვის; ეს ის პიროვნებაა, რომელსაც სპეციაჟ შუბლზე სხივის ასოებით აწერია: „ყოველისფერი სამშობლოსათვის“!

აქვე მოსაგონარის მეზობელ მონათესავე ერის სომებთა დრამატურგი სუნდუკიანცი, რომელმაც ამ წელიწადი ლიტერატურის ჟესტირა. მისი დრამების და კომედიების ტიპები ქართველ-სომებთა ცხოვრების ტიპები არიან და მათში გასაოცარის ნიჭით არის დახატული მეტრამეტე საუკუნის წარმომადგენელი თაობა. ის ტრილიში სიცილს ჰქმნიდა და სი-ცილში—ტირილს. ეს პიროვნება ორივე ერის თაობას იმას ასწავლის, თუ რამდენად ძლიერია კეთილი აღამიანის ნიჭი საერთო კეთილ საქმის შესრულებაში და რა დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლიან ასეთ უანგარო მოღვაწეს.

სხვათა შორის დიდად ჩამაფიქრებელია დასავლეთ საქართველოს დამშევა, ხალხის გაჭირება და შევიწროებული ცხოვრება. ამის სათავე, პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგრამარეობის გარდა, იქიდანაც გამომდინარეობს, რომ ჩევნში მიწის დამუშავება ადამის. დროის იარაღებით სწარმოებს, — მეურნეობა ძველ კალაპოტებში მიმღინარეობს. ეკონომის ზოგიერთ ქვეყნებში ქვიან აღვილებს ანაყოფიერებენ; გაღმოაქვთ სხვა-და-სხვა აღგილებიდებან მიწა და ისე ჰქმნიან მოსავლიან ნიადაგს. ჩევნში

ახლა ჯერი მიღდა უურნალ „ნაკადულის“ ვითარებაზე, მაგრამ სწორედ იქ უჩდა მოვიცონოთ ამ უურნალის დამაპარ-სებელი ქალი მარიამ ივანეს ასული ლემურია; მისი ნათელი მოლვაწეობა, მის-შეირ დათესილი სიკეთე, დღითა-დღე ვითარ-დება და იკრებს თავის გარშემო. პატარა ქართველ მეითხე-ლებს. ამ ძეირფას ადამიანის გარდაცვალების სამი წლის თავი 12 იანვარს შესრულდა და, ეს დღე გულის ტკიცილით მოსაფო-ნარია არა თუ რედაქციისათვის, არამედ ცყველა ქართველისა-თვის, რაღაც ამ ადამიანში დავკარგეთ ჩეენ საუკეთესო პი-როვნება,—მოზარდ თაობის სულიერი დედა!

ମେଘନାଥାର୍ଦ୍ଦିତ

საქართველო.

ანგელოზები და სულები.



დამინის მეურნეობას და თვითონ
მასში ბევრი^{*} მტერი ჰყავს: ესენი
არიან ანგელოზები, სულები, რო-
მელთაგან ზოგი პატრონობს მინ-
დორს, ზოგი ტყეს, ზოგი ნადირს,
ფრინველს, მთას და სხვა. იგინი კეთილად ეპურობიან კაცს,
თუ დაამწყალობლებს, და ბოროტად, თუ გააჯავრებს, ტკი-
ლად არ დაუხედება. ქვემო მოყვანილი ცნობები ცხად ჰყა-
ვენ თქმულს.

მიწის ანგელოზი.

ჯერ ისევ არგონაველების ლეგენდა გადმოგვცემს, რომ
კოლხეთის მეფე აიეტს ფოლადის გუთანი გაუკეთაო ჰეთესტება.
ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ხენა-თესეა ჩემში ნაადრე-
ვი საქმე უნდა იყოს. სახნავად ჩემში, გუთანს გარდა, იმმარე-
ბა აჩერა ანუ კავი, ანუ ოჭოქი და ერქვანი. საყურადღებოა,

^{*}) იბ. „ნაცალული“ № 12, 1912 წ.

როდესაც ჩვენ „მიწას“ ეიხსენიებთ დედამიწად. ამით გვსუნის გამოვთქვათ, რომ ნიადაგი გვაძლევს საცხოვრებელ პურს. ნიმფადორ სირაკუზელი შენიშვნას, კოლხნი უმეტესად პატივს სკემენო ცასა და მიწას. იაზონმათ, ამბობს აპ. როდოსელი (250—200 ქ. წ.) თავის ოქროს კირასაულით, რომელიც სავსე იყო შმინდა ღვინით, აიეტის ქალაქს ქუთაისს (Kutatis polis) რომ მოეიდა, აპეკურათ პატივად ქალღმერთის პიწისა. აი, ჩვენის ფიქრით, საიდან მომცინარებს ის ჩვეულება, რომ ჩვენებური გლოხები დოესაც მიწის მაღლს ფიცულობენ და მიწის ანგელოზს ამწყალობლებენ.

შაჟა აფხაზურად პეტიონ ჯეჯილების და ტუების მფარველ ღმერთს. მისთვის შესაწირავს აქადებენ გაზადებულის დამდეგს და სოხოვენ კარგს მოხავალს. მასვე უსაღმრთობენ აგრძოვე ყველგან საქართველოში, მაგრამ სახელი-კი დაიტყებიათ.

ბოსლე. საქონლის მფარველ ანგელოზს ჩვენში ეძაბიან ბოსლეს. გურულები მას ევედრებიან ყველიერის წინა შაბათს. ყმაწევილი დგება ძროხებ შორის. დიასახლისი განგებ ამ დღისთვის გამოუხმობილ პურებით, აგრძელე ბლობმ თხილეკავლით და დოქტრილით ბაგას აგეთ თავსდება და შესძინის ბოსლე პატიოსანს:

— ბოსლე, შინა ხარ?

— შინ ვარ, ბატონო! — უპასუხებს ბოსლე პატიოსნის მაგიერ ყმაწევილი.

— ძროხას მომცემ?

— ბექრს, ბატონო!

— ხარს მომცემ?

— ბექრს, ბატონო!

— ცხენს მომცემ?

— ბექრს, ბატონო!

— კაუთა შშეიდობას მომცემ?

— დიახ, ბატონო!

— ფრინველს მომცემ?

— მრავალს, ბაჭონო!

ამის ჩამწერი ტ. მამალაძე მშპის: დოქტორ წყალი ნიშ-ნაგსო იმას, რომ ძროხები ბევრს მოიწვევებიანთ, თხილ-კავალი, რომელსაც ბოსელში აბნევენ, ნიშნავსო სიუხვე-სიმრავლეს, ხოლო ერბოთი გამოცხობილი კვერები — სიპონეს.

— ლაპატრია. ლორების პატრონიდ სვანები ლაპატრიას სთვლიან.

შეისრობას ყოველი მოსახლე ღორსა ჰქონის, მის ენას და ერთ პურს საღორეს კარზე შეალოცვენ ლაპატრიას, რომ ლორები გამრავლოს.

იგივე სვანები ეცედრებიან „სარეკალ დელეშის“ (დებ—ც), რათა გამრავლოს ცხვარი, მზეს, დალს, აფსაღს და „სვიბ-ბერმოძღვარს“, რათა მოსუნ მონადირეთ ნადირი.

— ა უნა გურიაში ითვლება ბალ-ექნახის ანგელოზად. ახალ-წელს ასრე ეცედრებიან:

„გუნა, აგუნა, ჩამიდარე!

ბაზუას ქარი ჩამითარე!

ჩეუნა მაჟუდის აშორელა შტეგნები,

სხევას მამუდის ჩხერგები და ფურცლები.

ჩეუნა მაჟუდის და ქ-დების აბრეშუმა,

სხევას ქადების კვარიას ტაფაბა“.

თვისებებით აგუნა უდრის ბერძნეთი ბაზუსს და რომაელთა დიონოსის.

ჩიტთა და თაგვთა ფაფა. უცელიერის შაბათს, როგორც გადმოგვცემს შეოსანი ვაჟა-ფაველა, ფამავლები ჩიტებს და თაგვებს უდუღებენ ფაფას, შემდეგ სცხებენ მას ნაფორებზე და ამ ნაფორებს დაალაგვებენ ბანზე, და ბალი სარკმლიდან ჩასძხებს დიასახლისს:

— დედავ, რასა იქ?

— ჩიტთა ფაფასა, უპასუხებს დედა

— ჩიტი რას სკამენ?



— სხვათი ყანისა.

ეს ჩევეულება ჩიტებისა და თაგვების მოსამაღლიერებელ საშუალებად მიაწირათ, დასქნის პატივული შევლევარი.

როგორც დასაწყისშივე კათქვით (გვ. 1), თაგვი ყანის მტერია, ჟანა-ფარიად და საჭირო შეიქმნა მისი მომაღლიერება.

„თაგვს დექადა ჩედმწიავე,
დარქვეს უანაფარდა,
დაზოცეს და ტახტე დასკვე,
წელს შემთარტევს ხმადა.
გაწერა, გაჭავრ და უანაფარ,
გაუარა ცეცხლის აღა:
„ჩეგჩ კატის ქადა რათ გვინდა,
ას ჩეგნი მოსისსარია“. .
ამას—იმასობაში,
შებოჭეს უანაფარია“.

¶ მგლისთვის კბილის შეკვრა საქონელი საძოვრიდან ზინ არ დაბრუნდება, მინდორში დარჩება ღამე, ფშაველი „ულოცავს“, მგელს კბილს ანუ პირს უკრავს, რომ დარჩენილი საქონელი არ დაუფლითოს. კბილის შეკვრა იციან თევ-დორიბა ღამეს: „მარილის სანაყს — გურჩს მიაბმენ ბორჩე წნე-ლით, ჩაუდებენ ნალვერდალს, სრულად დარწმუნებულნი, რომ მგელს იმითი პირი დაეწვებათ. ამავე ღამეს დედაკაცი გამოაცხობს მგლის სახის აგრედ წოდებულს „მგლის კვერებს“, მეორე დღეს ბალლები კვერებს ისრებით „ჰკოდამენ“ (ვარ-ფშაველა, „ივერია“ 1886 წ. № 34).

ნაღირის კბილის შეკვრა იციან სვანეთშიაც. იქ ასე იქ-ცევიან: როცა საქონელი ღამე გარედ დარჩება, ოჯახი სამ-ფეხა სკამს ბაწრით კრიავს: ნაღირის პირი შეკვრებათ (ბ. სვა-ნი, „ივერია“ 1886 წ. № 146).

დალი. სვანეთში ტყის ქალს (პატრონს) უწოდებენ



დალს. საბერძნეთში ბუნების ამწვანებისა და აუგავების ლექტიკამ უდიდესი
(სვან. დალ-ყავილი) ერქვა აფროდიტე.

ნაღირთ პატრონი ქალი ფშავ-ხევსურთა წარმოდგენით
და ვატა-ფშაველას გადმოცემით:

„გორის პირს მაჟდოფანშია
ქალი გადმოდგა მზებურა,
ია. პირიშე ტანთ ეცვა,
თავზე ბუკრი ეხურა.
მეტად დამზიდ რამ იუთ,
სააში, სახით ღვიძებურა;
ბრიტა-დავლის წინდებისა ჭქითვდა,
თითებს აჭანებს წელებურა,
ტანად მომცრთა და თმებით
ის არემარე ებურა,
ირშის ხროს მაჟრებება. .

სახელს ეძახდა უკედასა. („ივერია“ 1886 წ. № 280).

აინინა და დაინინა (—დანანა). იმ ღმერთების კერპები
აღმართაო მეფე საურმიგმა მცხეთას, გზის პირად. აფხაზთა
გაღმოცემით, ღმერთი ანან არის დედა-შემოქმედი. ასე ევედ-
რებიან: „დედანო შემოქმედნო, შწუხარებას ნუ გამოგვაცდე-
ვინებთ შეილის სიკედილით, გვიჩვენეთ მათი კეთილდღობა“.
ამავე სახელს ვუკავშირებთ ჩვენ ქართველთა განმიანათლებ-
ლის სახელს „ნინო“ (ლეკურად დედა), ნინა (ნუნა). საგუ-
ლისხმოა, რომ მეგრულად „ნინო“ და სვანურად „ნინ“ ნიშ-
ნავს ენას.

სერტყებისა, ხეთა და შენობათა ანგელოზები.

სერტყების თაყვანისცემა აღუნიშნავს თვით ბიბლიასაც.
ღმერთი ეუბნება მოსეს: ხეთელთა, გერგესეველთა, ქანანელ-
თა და სხვ. მიწაში რომ შეხვალთ, დამუსრეთ მათი ბაგინება,

დაამსხვრიეთ მათი ძეგლები და კურპები, მათი სერტუყბის დაქვემდებრების ფურცელით (2 გვ. 7, 5).

სხვა ადგილის (გამოს., 34, 13): „ბომბონი მათნი ღამარ-ლვიე, და ძეგლები მათი შემუსრებ და სერტუყბი მათი მოქა-ფურცელი და გამოქანდაკებულნი იყი ღმერთთა მათთანი დაწვენ უეცხლითა“.

სხვაგან სერტუყის მაგიერ გვხედება ასტაროთი. რუსულში სერტუყად ითარგმნება ასტარტი, ხან სვამინა როშა, ხან „როშა“. მიქიაში (3, 12) ქართული „სერტუყი მაღნარისანი“ ნითარგმნია „ლესისტი ხოლმა“-ად, სლავიანურად „ლუგა-აბრავნაი“. ჩვენი „სერტუყი“ უმაღნაროდაც ნიშნავს იმა ვი რუსულ ლესისტი ხოლმა-ს, რაღვან სერტუყი შედგენი-ლია ორის სიტყვისაგან: სერი+ტუყ

ამ სერტუყების ღმერთს ფინიკიში ერქვა აშერა, რომელ-საც უდრიდა ბერძენთა ღმერთი აფროდიტე, ქალ-ღმერთი, მოტრფიალე ბალებისა და ყვავილების, მცხოვრები ჭილებში, ქალღმერთი საამურ გაზაფხულისა, ტკბილად დროს გამტარე-ბელი სერტუყებში მაღალ მთაზე ჭიბუკ აღონისთან ერთად; ასტაროთად-კი იყო მაშინ, როდესაც თაყვანს სკემდნენ ვით სიმაღლეთა ქალღმერთს, ქალთა ქალწულობისა, ცოლქმრო-ბისა და ზნეობის დამცველს. საბერძნეთში აფროდიტე შეიქმნა შეენიერების ღმერთიდ, გულის გამხარებლად და თვალის მა-სიამოვნებლად.

შას უნდა უდრიდეს ჩვენებური გა ანუ გაცი, ვინაიდგან ასე ითარგმნება აღონისი და ასტაროთი. ხოლო ჩვენებური კაშ (კასი) არის ივივე აფროდიტე, რომელსაც ეგვიპტეში, როგორც გადმოგვეცემენ ბერძენთა მწერლები, ერქვა აგრეთვე ურანია, ე. ი. კა.

ამ გაცისა და გას კურპები ეყუდნენ არმაზის გორჩაშე, მცხოვრის ახლოს; მოებში: იქ სამებას შეადგენდნენ ღმერთია-

არმაზი, გაცი და გა. არმაზი იდგა შუაში და მის აქეთი-იქით გაცი
და გა. გაცი ოქროისა იყო, გა—ვერპხლისა. ექვთიშე მთა-
წინდელის მიერ თარგმნილ მეექვსე მსოფლიო კრების სჯუ-
ლის წიგნში სწერია: (გვ. 121) „მოისპერ საწარმართო სახე-
ლისდებანი დოის, აპოლონ, არტემ, ბოჰი, გაცი, გა, გვინ
და არმაზ... ანუ რომელი წნებასა ყურძნისასა ბილწისა მის
დიონისეს სახელსა იტყვიან და სიცილსა აღაზრზენენ“.

აფროდიტეს ნიშნებავე აქეს ჩენებურ კოპალის სალო-
ცავს ანუ ხატს ფშავეთში. მის მხავართა (გზირთა ანუ დო-
ბილთა) შორის მოიხსენების ქალი აშექა, რომელიც უნდა
იყოს იგივე ზემოხსენებული აშერა.

როგორც კოპალის ხატს, ისე სხვა ხატებსა, ნიშებსა და სა-
ლოცავებს ჩენები ყველგან საღმრთო ტყეები აქვთ, რომელთაც
ეძიხიან საყდრებს. იგინი უწინდელი სერტყები არიან. თვით გმი-
რის კოპალის ნასაყდრალს უჩენებენ ერთს ტყიან გორაზე, არა-
გვის ნაპირად. აქ არის თოხუოთხი ქვა, რომელსაც კოპალის სკა-
მად ასახელებენ. ოდესლაც კოპალი სანადიროთ ყოფილია. მი-
სი სკამისთვის დევს საბელი. გადუჭირებია, წამოუკიდნია, წა-
სულია, მაგრამ მისთვის თვალი მოუკრავს გმირს კოპალის,
უძრია ისარი და მოუკლავს. მას აქეთ დარჩენილი იქ
„კოპალის ქვა“.

ფშაველთა საზოგადო ხატებად თვლებიან ლაშარის ჯვა-
რი და თამარ-დედოფალი, ხოლო მას გარდა ყველა თემს ჰყავს
საკუთარი ხატიც და ეს თემები კი არიან: გოგოჭური, გაბი-
დოური, უძილაური, გოგოლაური, ჭინუელი, ახადელი, უკვე-
ნაფშაველი, წითელაური, ქისტაური, წოწურაული, ტურა-
ნი და მისრიანი (სულ 12 თემი). ხატს ფშაველი ეძიხის ბა-
რონს და „ღოზიშვილს“ და თავის თავს სთვლის მის უმაღ-
ლექსიც ამბობს:

„ჩვენის ბატონის ქარზედა
ცხ ალფად ამოსუდათ,

၌၍၂၈၆၀ დაუსხაშ კურძენა,
საჭმელად შემასედაနဲ့.

ხატების მოსამსახურენი ხევის ბერები და დასტურებია. ესენი ნიშნად თვისის წმინდობისა არა სკამენ ღორისა და ქათ-
მის ხორცს, ნალის ერიდებიან. ფშაველი მოვალეა გამოიხყი-
ლოს შეიღრი თამარ დელოფულის ხატისაგან ანუ „გაიყვანოს“:
თუ ვაურა—კურატით, თუ ქალია—უხერით, საკლავით (ვაუ-
რაველა, „ივერია“ 1886 წ. № 39).

ხატები პირველად კაცები იყენენ, ამბობს ფშაველი,
კაცები მაღლიანნი, უკოდველნი. რომ დაიხოუნენ, ღმერათმა
იგინი ხატებად, ანგელოზებად გარდაპქმნაო. ხატს ჰყავს დო-
ბილები—მხაეანნი, ეს მისი ჩაფრებია. ვის ჯავრის ამოყრა უნ-
და, ამ მხაეანთ მიუსეეს. ხახმატის ხატის დობილებია: სამძი-
მარი, თამარ-ქალი, ხოშაქა, მხექალა და აშექა.

8. ჯანაშვილი.

(შემდევი იქნება).





ტრადის ომი.

ენეასის და პეტორის აქილევსთან შეტაკება.



როადელების შეეღრიბა პეტორის მთავარ-
სარდლობით უკვე მზად იყო სამკუდრო-სასი-
ცობლო ომისათვის. ელლინთა შეომრებიც
ის იყო სადილს ათავებდნენ და სამხედრო ია-
რალს ისხამდნენ. ძლევა-მოსილი აქილევსი მი-
მედ შეიარაღდა პეტორის მიერ ხელოვნუ-
რად შეკედილ იარაღით და სასტიკი ბრძანება გასცა—მხედ-
რობა მასთან ერთად ბრძოლის ველზე გასულიყო.

დაიძრა სამხედრო კარვებსა და ხომალდებიდან ელლინ-
თა დიდებული მხედრიბა. ბრძოლის ველი ორსავე მოწინა-
აღმდეგ მხარეს ჯერ კიდევ დიდს მანძილზე აშორებდა ერთმა-
ნეთს. მძიმედ შეიარაღებული მზისა დარი აქილევსი სწრიად
ჩაჯდა სამხედრო ეტლში და ესეთი სიტყვებით მიმართა თა-
ვის ფეხ-მაღალ ცხენებს: „ჩემთ ქანთოს და ბალიოს! აბა თქვენ
იკით, როგორ უვნებლად დაბრუნებთ ბრძოლის ველიდან
თქვენ პატრონს!“ ამ სიტყვებთან ერთად დიდებულ აქილევსს
ხაკვირველი სასწაული მოევლინა. ეტლში შებმულმა ერთმა
ცხენმა ადამიანის ენა ამოიდგა და თავის ძლევა-მოსილ პატ-

რონს ესე შეეხმაურა: „დიდებულო აქილევს! დღეს-გამ უკუნიშებ
ლად დაგაბრუნებთ ბრძოლის ველიდან, მაგრამ მოახლოოდა
დღე, როცა შენი ქსანთოსი და ბალიოსი ვერას გიშეელიან,
ბრძოლის ველიდან უკნებლად ვერ დაგაბრუნებენ. ყოვლად
შემძლებელ ღმურთებს წინასწირ გადაწყვეტილი აქვს სიცუპ-
ხლე მოფისპონ ილიონის მიუვალ ზღუდეთა მახლობელ ველ-
ზე.“

პელფასის ვატის შეიღმა მრისხანე კილოთი მიმართა თავის ერთგულ ცენტს: „ჩემო ძეირფასო ქსანთოს! რად მიწინასწარმეტყველებ სიკედილს? განა მე თვითონ არ ვიყი, რომ განგებამ წილად მარგუნა უცხო ქვეყანაში, საყვარელ სამშობლოს მოშორებით სიკედილი? მაგრამ, სანამ ჩენს მოსისხლე მტერს სამიგიროს არ მიუძღვნი, საშედრო ეტლიდან ფეხს არ ჩამოვდგამ და იარაღით ხელში მოსისხლე მტერს შეფარად გაუმჯობედები!“

სოენა ეს იქილევსმი და, რაც ძაღლი და ლონე ჰქონდა, გარეუა თავის ფეხ-ბალი ცხენები ბრძოლის ველისაკენ.

ბრძოლის ველი თასიცე მხარეს, მსწრაფლ იცსო მშედ-
რებით. დედამიწა კრთიანიდ ზანზარებდა. ცხენების დაუსრუ-
ლებელი კინებინი და ტორების თქარუნი, მეომრების იარაღის
ზარიცვით წყრიალი და ხმლების ჰაერში ტრიალი ყურთა სმე-
ნის აძნელებდნენ. აქილევსი ელფის სისწრაფით ტრიალებდა
ბრძოლის ველზე და გამაცის მხნეობით ელლინთა შედრობას
გულში უნერგიერდა საშობლოსათვის უკანასკნელ სულის ამო-
სუნთქვამდის გმირულიდ თავის დადებას. აქილევსის დანახვა-
ზე ტრიალების მეომრები შიშის ზარმა აიტანა. თუმცა
რაზების მთავარ-სარიდლები იშეიათის მხნეობით უმელოდე-
ბოდნენ ელლინთა თავგანწირულ მეომრებს, მაგრამ პელვასის
ეფეს შეიღის გააფთრებულ ლომიცვით ბრძოლის ველზე მძინ-
ვარებდა, ტრიალების რაზებს მიწასთან ასწორებდა. შეუბრა-
ლებელი აქილევსი შემოდგომის გრიგოლიკით ტრიალებდა სა-

ზარელ ბრძოლის ველზე და ტრიადელების საუკეთესობაზე მდგრადი არქიტექტურული ასაღებებია. ტრიადელების რაზმებში ყველაზე სიკუდილი, ყველგან კვერცხა და ვაება გაისმოდა. ბრძოლის ველი სისხლის მდინარეებით ისერებოდა და მეომრებს ერთი ორად უძნელებდათ მტერთან თავისუფლად შებრძოლებას. ტრიადელთა შედრობის შთავარ-სარდლები ახლა-კი დარწმუნდნენ, რომ ბრძოლის ესეთი საშინელება მხოლოდ და მხოლოდ ძლევა-მოსილი აქილევსის მამაცობას უნდა მიეწეროს. აქილევს რომ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიერო, ტრიადელებს ესეთი უბედურება თავს ასე მოულოდნელად არ და-ატყდებოდა.

აქილევსი მაინც კმაყოფილი არ იყო ესეთი იშეიათი გამარჯვებით, იგი არწივივით თავს დასტრიალებდა ტრიადელების რაზმებს და მოუთმენლად უთვალისფალებდა თავისი უგულითადესი მეგობრის პატრიულოსის მკვლელს დიდებულს ჰექტორს. აქილევსი მხოლოდ მაშინ დაიმშეიდებდა გულს, როცა იგი სასიკედილოდ განგმირავდა თავის გულითადი მეგობრის მკვლელს. ის კიდევაც ეს იყო მიზეზი, რომ გმირთა გმირი, აქილევსი ასე დაუცხრომლად იბრძოდა ბრძოლის ველზე და გულ-მოდებინედ დაეძებდა ტრიადელების რაზმთა შორის თავის მსხვერპლს.

სწორედ ამ დროს ლომივით გააფორმებულ აქილევსს თვალი მოჰკრა ტრიადელების ერთ-ერთი რაზმის სარდალმა ენე-ასმა და გადასწყვიტა პირადათ შეტაკებოდა ტრიადელების გამანადგურებელს.

აქილევსმა, დაინახა თუ არა მძიმედ შეიარაღებული ენე-ასი, მიუახლოოდა და მრისხანე კილოთი უთხრა: „ენეას! ნუ თუ ჩემს წინააღმდეგ გალაშერებას ჰპედავ! ან როგორ გაედნიერდი ასე! არ გახსოვს, როგორის თავდავიწყებით გამირბოდი იდის შთა-გრეხილიდან! ღმერთები რომ არ მოგშეველებოდნენ მაშინ, ყოველ ექვს გარეშეა სიკუცხლეს გამოესალმებო-



და! ამიტომ გირჩევ დაუყოვნებლივ თვალიდან მომზრდებულების შორის დამკარგო, თორემ ამ ქამად სიკედილს ვერ გადაურჩები. ყოველთვის ღმერთები შენთვის არ მოიცლიან და დახმარების არ აღმოგიჩნენ.“

„ვერ შემაშინებ ასე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით,“ უპასუხა თავ-გამოდებით ენესმა: „მე ხომ ჰატარა ბალლი არა ვარ, ესეთის ცარიელის სიტყვებით შემაშინო! მე შენ კარგად ვიცნობ და შენც მე! ამბობენ, რომ შენ ჰელფასია და ფეტიდა ქალღმერთის შვილი ხარ; ჩემი მშობლები-კი ანჭიში და აფრიდიტა ქალღმერთია. სიტყვებით დაშინების მაგივრად სჯობს ერთი-მეორეს შევებრძოლოთ და ეს შებრძოლება ნათლად დაგვანახებს, თუ ვინ უფრო ძლიერია. ჩევნი ხმალის სიძლიერე სწორედ ამ შებრძოლებაში გამოჩნდება!“

ამ სიტყვებთან ერთად ენასმა მოიმარჯვა ისარი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა სტყორუნა აქილევსის ფარს. მძლავრად ნატყორუნი ისარი შუაგულში მოხვდა ფარს, მაგრამ ფოლადით შექედილს ფარს ვერა დააკლო რა. აქილევსის მიერ ნასროლმა ისარმა ენესთან ფარს ერთი კუთხე ჩიმოვჰლიჯა, მიწაზე გულით დაყრდნობილ ენესს. ზურგზე ზუზუნით გადაუარა და იქვე მიწაში ღრმად ჩაერჩო. ენესი შიშის ზარმა აიტანა, მთელი სხეული ვერხვის ფოთოლივით უცახახებდა. აქილევსმა იმრო ბასრი ხმალი და გააფორმებული ლომივით გაემართა ენესთან ხელდახელ შესატაკებლად. პელევის ძლევა-მოსილი ვაეფის შვილი ელევის სისწრაფით მოუსხმობდა ენესს სიცოცხლეს, რომ ჰოსეიდონ ღმერთი დროზე არ მიზევებოდა და აუკილებელ სიკედილს არ გადაერჩინა. ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა ნისლოით შებურა აქილევსის გარეშემო მიდიმო და შიშით ცოცხალ-მკედარი ენესი ჰაერში იტაცა და შორს, შორს ტროადელების რაზებთა შორის გადატყორუნა. ღმერთმა სასტიკად აუკრძალა ენესს ამიტოდან რვთისა დარ აქალევსთან შებრძოლება.



პოსეიდონ ღმერთმა აქილევსის შექმნა ნატყორუნი გრძელებულია მიწიდან მოიღო და პელესის ვაჟის შეილის ფერთ დასჭირდა. ნისლი ღმერთის პრძანებით გადაიყარა. აქილევსმა გაკვირვებით შესძახა, როცა ნისლი ერთბაშიდ თვალთ ჩამოშორდა... საკვირველება! ისარი რომელიც ენეასის სასიკვდილოდ შორს გადაეტყორუნე, ჩემ ფეხთა ძევს და თვით ენეასი-კი არსად არა სჩანს! უთუოდ ყოვლად შემძლებელ ღმერთებმა გადაარჩინეს კიდევ სიკვდილს! სჩანს ღმერთები უფრო მოწყოლე თვალით უყურებენ ჩემ მოსისბლ! მტერს!“

სოჭვა ეს აქილევსმა და ისევ ჩაერია ელლინთა რაზმებს შორის. სიტყვით, საქმით ამხნევებდა გმირთა-გმირი თავის თანამოძეებს და მოსისბლე მტრის წინააღმდევ ამხედრებდა. ჰექტორიც თავის მხრით ამხნევებდა ტრიადელების რაზმეს: „ნუ შეუშინდებით ძლევა-მოსილს, აქილევს! მე თვითონ პირადათ შევებროლები, თუნდაც დარწმუნებული ვიყო, რომ ელლინთა გმირის ხელები გააღმასებული ფოლადითა შეკეთილი და გული მისი ხელმისუარებელი რკინითა!“

აქილევსი ამ დროს თავდავიწყებით იბრძოდა და ტრიადელებს შიშის ზარს ჰეგრიდა; მან უკვე რამდენიმე წარჩინებული ტრიადელთა გმირი სიცოცხლეს გამოიხადმი და მათ შორის პრიაშვილის უმცროსი ვაჟის შეილი პოლიდოროსი, რომელსაც შამა დღემდის იშვი მონაწილეობის მიღებას მუდა უკრძალავდა.

ტრიადელების გმირთა-გმირმა ჰექტორმა, დაინახა თუ არა თავის საყარელი ძმის პოლიდოროსის განგმირული გვამი, სიბრაზით ერთიანად აინთო, შაგრად მოიმარჯვა პრეცენავინავი ისარი და უშიშრიად აქილევსისაკენ გაემართა.

ელლინთა მხედრობის ძლევა-მოსილმა გმირმა როცა პისაკენ მიშავალი ჰექტორი დაინახა, იღტაცებით წამოიძახა: „ო, სწორედ ის კაცი, რომელმაც დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო დიდი მწუხარება მომაყენა! დიალ! ჩემი გული სამუღა-

მოდ დასერილია ამ კაცის ხელით! ჩემი გულითადი შეგვაძლის პატრიულობის -იკვდილს ისე იდეილიდ არ გაპატიებ! შენ უ ისე უდროვოდ გამოგაისალმებ წუთი-სოფელს, როგორც თვითონ შენვე უდროვოდ მოუსპე სიცოცხლე ჩემ უგულითადეს მევობარს! მეც ისე დავაობლებ შენს ნათესავთ და მევობრებს, როგორც შენ უნუგეშოდ და უიმედოდ დასტოვე პატრიულობის ყველა ნათესავი და მევობრები!“

ჰექტორმა ბრაზ-მორეულ აქილევს ესე უპასუბა: - უარიელის სატუვებით ვერ შემაშინებ, გმირთა-გმირო აქილევს! მართალია შენ ჩემზე უფრო ღონიერი ხარ, მაგრამ ჯერ კიდევ საფქვეო გამარჯვება ვის დარჩება! ადამიანი ერთსა ბჭობს და ღმერთები-კი სულ სხვანაირად სჯიან და აწესრიგებენ კაცთა საქმეებს!“

ამ სიტუაციაში ერთად ჰექტორია მძლავრად სტურიქნა ბასრი ისარი ელლინთა დიდებულს გმირს. ისარი მძლავრად დაეჯახა აქილევსის ფარს. ვერა დააკლო-რა და უკანვე დაბრუნებული ღრმად მიწაში ჩაერტო.

ლომივით გააფთრებულმა აქილევსმა მოიმარჯვა ბასრი ისარი ჰექტორის სასიკვდილოდ გასიგმირავად, მაგრამ ტრიადელების გმირი აპოლლონ ღმერთშა განსაცდელს გადაარჩინა. ჰექტორმა აპოლლონ ღმერთის შთაგონებით, დაუყოვნებლივ აქილევს ჩამოშორდა და თავის თანამომშების რაზმებს ფეხ-აკრეფით მიაშერა. „საზიურარო!“ ხმა-მაღლა შეცყვირა გმირთა-გმირმა აქილევსმა: ახლა თუმცა თავი დაალწიე აუცილებელ სიკვდილს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ სულ მოკლე ხანში კიდევ შევხვდებით ერთი შეორეს და მაშინ-კი უციველიად სიცოცხლეს გამოგაისალმებ! გახსოვდეს, რომ ჩემი უგულითადესი მევობრის გაცივებული გვამი განუწყვეტლივ უურებში ჩამჩურისულებს შენთვის სამაგიეროს გადახდას! ღიაღ! ჩემ უგულითადესი მევობარს ვერ ვუტალატებ და ადრე თუ გვიან ამ ჩემს განზრახეს უმცრა აკლებოდ სისრულეში მოვიყვან!“

ამ სიტყვებთან ერთად მშისადარი აქილევსი მძღვნელებული იყო. მაგრა მას მიუწვდომელი და მრავალი სახე-
ლოვანი გმირი წუთისოფელს გამოასაომა. ასტყდა საშინელი
ბრძოლა. აქილევსი შეუბრალებლად ანადგურებდა ტრიადე-
ლების რაზმებს. საცა-კი ელლინთა მედრობის გმირთა-გმირი
გამოჩნდებოდა, ყველგან სიკედილი და დაპრილთა გმინვა
გულს ლახვარიერი ხედებოდა. ბრძოლის ველი სისხლის მო-
რევში სცურავდა. სამხედრო ეტლები დახოცილ მეომრების
გვამებზედ შეუბრალებლად გადადიოდნენ და სისხლის მორევ-
ში სცურავდნენ.

ძლევა მოსილი აქილევსი მაინც არა სცურებოდა, და უფ-
რო მეტის იერიშით მოსისხლე მტრის საწინააღმდეგოდ მიიწვე-
და და ირგვლივ კველასა და კველაფერს ანადგურებდა.

ა. მიქაბერიძე.

(შემდეგი იქნება).





5

გუნებრივი შეტჩევის კანონი.



ისაც თვალყური უდევნების ცხოველების ცხოვრებისათვის, ის უცველად შენიშვნადა, რომ ცველა ცხოველს ბევრი მტერი ჰყავს; ყოველ ფეხის გადადგზაზე შეიძლება მტერს წააწყდეს, ამიტომ თავი ყოველთვის ფრთხილად უნდა ეჭიროს, რომ მისი საქმილო არ გახდეს, მაგრამ მარტო სიფრთხილე საქმაო არა: ხაჭირთა სხვა-და-სხვა საშუალება მტერთან საბრძოლველად და თავის დასაცველად.


ცხოველებს მრავალნირი ამგეარი საშუალება აქვთ, ზოგი ცხოველი დაინახავს თუ არა მტერს, გაიქცევა, ან გაფრინდება; ზოგს დამცველი იარაღი აქვს, ზოგნი იმ აზრით, რომ მტერს გადურჩნენ, თავს ისახიჩრებენ, ზოგნი ჯგუფად — გუნდგუნდად ცხოვრობენ და მით მტერისაგან თავს უზრუნველ ჰყოფენ; ზოგნი ბუნებით ისეთი ფერით არიან დაჯილდოვებულნი, რომელიც მით ძნელ შესამჩნევად ხდის და მტერის თვალს არიდებს. ამგეარი მოვლენა მრავალის-უმრავალესია ბუნებაში.



აფილოთ მაგალ. ფერის მნიშვნელობა: შენიშნული უკავშირობრივი ვალი ცხოველი იღებს იმ ადგილის ფერს, სადაც ცხოვრობს.

რაც უფრო ახლო ეცნობი იმ მოკლენებს, და რაც უფრო მეტ მაგალითს უკვირდები, მით უფრო დაერნებით მკითხვებით თქვენ თავს: როგორ მოხდა, რომ ცხოველმა იმ ადგილის და იმ საგნების ფერი მოილო, რომელთა შორისაც სცხოვრობს; როგორ მოხდა რომ ზოგი ცხოველი სხეულის მოყვანილობითაც-კი იმ საგნებს დაემზადეს, რომელთა შორისაც თავის სიცოცხლეს ატარებს? რანთორად შეიგნო და შეისისხლხორცა პირუტყვამა ის სასტიკ მორჩილების წესი; რომელსაც ის ასე უსიტყვოდ მისდევს და რომელსაც არა-ფრის გულისთვის არ დაარღვევს?

აიღთ მაგალ. ხელიკი. თუ ბალახებში ცხოვრობს, მწვნებ ბალახსაეთ, თუ კლდიან—ადგილს—რუხია, როგორც



კლდე. აიღთ ის პეპლები, რომელთა სხეულის მოყვანილობა საშინალადა ჰგავს ხის ფოთოლს, ანუ პატარა ტოტს. ან ის, რომ ყველა ირმებს სწრაფი სირბილი შეუძლიანთ, ყველა კურდღლელს მახვილი სმენა აქვს? ნუ თუ არ იბადება ხოლმე ისეთი ირეში, რომელსაც ჩქარი სირბილის უნარი არა აქვს, ნუ თუ ბალახში მცხოვრებ ხელის არ გამოუვა



ისეთი შვილი, რომელიც სხვა ფერისაა? ნუ თუ უწყვეტესი მხგავსს პეპელის არ გამოეჩეკება ისეთი პეპელი, რომელიც ფოთოლს არა ჰვევს?



როგორ არა! ეს ძალიან ხშირად მოხდება ხოლმე. მაშ თუ მოხდება, რა მიზეზია, რომ მინდვრად და ველად ჩეენ მხოლოდ მწვანე ხვლისა ვხედავთ. რა მიზეზია, რომ ხის ბალლინჯო უხათუოდ მწვანეა და სხ?

ეს მოვლენა აღვილი ასახ-სნელია, თუ ჩეენ მოვეგონებთ კანონს, რომელსაც ბუნებრივი შერჩევა ჰქვიან.

რაში მდგომარეობს ეს კა-ნონი? როგორ მოქმედობს იგი?

ეს ჩეენ რომელიმე მაგალი-თით აეხსნათ.

ფოთოლის მზგავსი პეპელია. წარმოიდგინეთ, რომ ამ პეპელიმ და-ჰყარა ასი კვერცხი. ამ კვერცხებიდგან გამოიჩეკება, როგორც იცით, კიები; კიები გაიზდებიან, დაპირებიან, პარკებიდგან-კი პეპლები გამოვლენ.

ალბად კველიმ იცით, რომ საზოგადოდ შეილები მშობ-ლებსა ჰვევანინ და ზოგჯერ ეს მზგავსება პირდაპირ განსაცემ-ფრებელია: „ესა და ეს პირწავერდნილი დედა ან მამაო,“ ამბობენ ხოლმე მაშინ. ამ მოვლენას მემკვიდრეობის ეძინიან. ზაგრიმ რაც უნდა დიდი იყოს მზგავსება შეილს და მშობლებს პირის, მაინც შეილი რითიმე უთუოდ განიჩრევა დედ-მამისა-გან, ისეთი თვისება დაჰყვება ხოლმე, რომლის მზგავსს მშობლებში ვერ ჰქედავთ. ხშირად ერთისა და იმავე მშობლე-

ბის შეილები არა ჰგვანან ერთმანეთს. ერთი სიტყვით ორგანიულ სიცოცხლის განვითარებაში მოქმედობს ორი კანონი, ერთი მეორეს მოპირდაპირ; ერთი კანონის მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ ორგანიზმთა ბუნებაში ჩანარევილია შეილებისაგან მშობლების დამზღვესების მისწრაფება; მეორე კანონი ამ მისწრაფების პირდაპირ ეწინააღმდევება: იმისი როლი ორგანიზმთა ცხოვრებაში სულ სხვაა: თუ მემკვიდრეობის კანონს ერთგვარობა, მზგავსება შეაქვე მშობლებსა და შეილებს შორის, წინააღმდევი კანონი, პირიქით, მიიღოს იმისკენ, რომ რაც შეიძლება მეტი განსხვავება დაბადოს იმათ შორის, მიანიჭოს ზეილებს თავისებური, მშობლებისაგან განმასხვავებელი, თვისებები.

ამნაირად, ყველა შეილები ჩეენი პეპლისა, მემკვიდრეობითი კანონის ძალით, დაემზგავსებიან თავიანთ დედას, ესე იგი, ისინიც ფოთლის მზგავსნი იქნებიან, მაგრამ განსხვავებაც იქნება მათ შორის. ადვილად წარმოსადგენია, რომ ზოგი პეპლი უფრო დაემზგავსება ხის ფოთლის, სხვებიც რასაკვირველია ფოთლის მზგავსნი იქნებიან, მაგრამ იმდენად არა. რომ მელი მათგანი იქნება უფრო უზრუნველყოფილი მტრისაგან? რასაკვირველია, ისინი რომელიც ემზგავსება ხის ფოთლობან უფრო თვალსაჩინო იქნება. მტრი-უ-კეპელებს ბევრი ჰყავს. რომელი ჩაუვარდება მტრის ხელში? აშერაა, ის, რომელიც ნაკლებ ათა ჰყავს ფოთლის, რადგან უფრო ადვილი დასანახავია.


ამ გვარად პეპლები, რომელნიც საუმონდ არა ჰგვანან ფოთლებს, დაიღუპებიან და ჩამომავლობასაც ვერ დასტოვებენ ისინი-უ, რომელნიც ფოთლობს საუმონდ ჰგვანან, დიდხანსაც იცაულებენ და ჩამომავლობასაც დასტოვებენ. მაშა-სადამე, ჩამომავლობას დასტოვებენ ის პეპლები, რომელნიც ფოთლობს ძალიან ჰგვანან. მემკვიდრეობითი კანონის ძალით ეს ჩამომავლობა თავის წინაპარს დაემზგავსება, ესე იგი იმათ მზგავსება ფოთლისადმი უფრო დიდი იქნება. ახალი ჩამომავ-

ლობაც ხომ ყველა ვერ გითხდება, რადგან მას ფრინვება
თოლს ნაკლებად ჰგავს. იკოცხლებენ, ჩამომავლობასაც
დას არვებენ და უფრო ბეღნიერნი იქნებიან ისინი, რო-
მელნიც ფოთოლს უფრო ჰგვანან. ასეთი შერჩევა განმეორდე-
ბა ხოლმე თვითონეულ თაობაში და ბრძოლაში გამარჯვე-
ბული უკეთესად შეიარაღებულნი გამოვლენ, ესე იგი ისი-
ნი, რომელნიც უფრო წააგვანან ფოთოლს, ამ გზით ამ
ჯიშის პეპლის ყოველი თაობა ნელნელა. მაგრამ შეუჩერებ-
ლად, თანდათან აუმჯობესებს და ანვითარებს თვის დაცვას,
იგი უფრო და უფრო ემზავესება ფოთოლს.

სწორედ ამნიორად მიმღინარეობს სხვა ცხოველების სი-
ცოცხლეები; რომელიმე სასარგებლო თვისება, ბუნებრივი შერ-
ჩევის კანონის ძალით, თანდათან უვითარდებათ.

ყველა ის ცხოველები, რომლებსაც თვის დასაცავი იარა-
ლი ან სრულიად არ მოეცოდებათ, ან საქმიად არა აქვთ გან-
ვითარებული, ილუპებიან მტრებისგან და ვერცა მრავლდებიან,
რადგანაც შთამომავლობას ვერა სტაცებენ ისინი-კი, რომელ-
თაც დამცველი იარაღები განვითარებული აქვთ, და მაშიადა-
მე საქმიად არიან შეგუებულნი იმ ადგილს, სადაც ცხოვრო-
ბენ, შედარებით აღვილად აღწევენ თავს ათასგვარ ჩიფაოს,
შთამომავლობასაც სტაცებენ და მემკვიდრეობითაც გადასცე-
ბენ ხოლმე ყველა იმ სასარგებლო თვისებებს, რომლის წყა-
ლობით იმათ სიცოცხლე შეინარჩუნეს. ზიფათი-კი ყოველი
ცხოველის ცხოვრების გზაზე ბლომად მოიპოვება.

გ. ანთელიძე.





ტასართლბი

გამოცანები.

(ძველი ხელნაწერიდან ამოღებული გიორგი მიქელაძის-მიერ).

1

დედასა შვილი წარმოვეს, ნოტი, ახალი შობილი;
სხვათა გაზარდეს ძიძათა, სხვათა ნაყოფთა შობილი;
სად მიიყვანეს, იქ დახვდა—იყო მისივე შობილი.

2

ერთი რამ არის ისეთი, დიდი არის და ხმიანი:
ზოგჯერ ეინატრით მოსელასა, ზოგჯერ უქნია ზიანი;
ხელში ვერავინ დაიქერს—წინაც დაუჭვდეს ხშლიანი.


შ ა რ ა დ ა

(წარმოღვენილი პ. ნიორაძისავან).

მიწის მუშის იარაღსა
ბოლო ასო არა აქვსო,
და მეორეს, თუ-კი დავთვლით,
ორთავ ხელით თან დაგვაქსო,
საერთოთ ქვეყნის აშები
მას გადააქვს გაღმოაქსო.

1912 წ. მ-12 №-ში მოთავსეაულ შარალის აღსნა:

ე ბ ლ ი თ ნ ი.



ଶବ୍ଦଶତ.



”



”

ଏ
ବତମାନ
କାହାର
କାହାରକାହାର
କାହାର
କାହାର


” କାହାର

କାହାର
କାହାର
କାହାର

”



କାହାର



შიდა ბაზარი

1912 წ. ურნაღ „ნაკადულისა“.

დ ე ქ ს ე ბ ი:

ა გ ა კ ი

შილოცვა ob. № 1

კ. გაშისპირელი

დუმილი	" № 1
სიმღერა გამოსალმებისა	" № 9

დ. თურდოსპირელი

ასე მოსთქვამდა ბულბული	" № 2
ვიშ, ბუნება, რა კარგი ხარ!	" № 8
შემოდგომის სურათი	" № 10

ს. ფაშალიშვილი

ქრისტე აღსლება	" № 3
ნაკადული	" № 5

მიმქრალი

ოჲ, მეც ვიყო ნეტა სიო	" № 3
ბუნებას	" № 4

გ. ქუჩიშვილი

ი. ს. გოგებაშვილის ხსოვნას	" № 6
* * ლექსი	" № 7
პროფესორ ხახანაშვილის ხსოვნას	" № 8
მამა და შვილი	" № 10



ვაჟა-ფშაველა.

სტური.

ეროვნული
სამეცნიერო
ინსტიტუტი
ნო 6

ქ. დგებუაძე.

ა. ს. გოგებაშვილის ხსოვნას „ № 7

ხუციშვილი

შემოღვევა „ № 9

ა. შანშიაშვილი

ქაჯი (თარგმ.) „ № 10

ახოსპირელი

მოკვდა ჩიტი. „ № 11

ი. სიხარულიძე

განთიადი „ № 11

ი. მცედლიშვილი

ქრისტე სოფელს ეცლინება „ № 12

ნ. ჩხიფაძე

ობოლი ჩიტი „ № 12

მ ო თ ს ო ბ ე ბ ი:

ნინო ნაკაშიძე

არ გვიყადრა „ № 1

„ (დასასრული). „ № 2

მ. კლიმიაშვილი

მხიარული შობა, — მოგონება გიმნაზიელისა, — აღ.

ზარინისა (თარგმ.) „ № 1

„ (შემდეგი) „ № 2



"	(შემდეგი)	„	№ 3
"	(დასასრული)	„	№ 4
ტყვეობაში (თარგმ.)	.	„	№ 11

ალ. მითაიშვილი

რეე—ლ. ნ. ტოლსტოისა (თარგმ.)	„	№ 2
------------------------------	---	-----

ჩი ტო

დედა.	„	№ 2
-------	---	-----

გ. მალაქიაშვილი

ბედნიერი დღე	„	№ 3
ობლები	„	№ 5
კეცელოს თავფალასაფალი.	„	№ 6
" " (დასასრული)	„	№ 7

ვაჟა-ფშაველა

კლდე სალი	„	№ 3
ორაგულის ცხოვრება	„	№ 4
ტყვი ტიროდა	„	№ 12

გ. ქუჩიშვილი.

ორი სურათი	„	№ 3
მთის ხმა	„	№ 6
ბრძა შემუსიკე	„	№ 8
ფოთლები	„	№ 11

განო ხაათაშვილი

პანდორას „კიდობანი — ძეველი ბერძნული არავი (თარგმანი).	„	№ 3
---	---	-----

თამაზ კარბელაშვილი

კანდელზე (თარგმანი).	„	№ 4
როგორ სტიროდა ცხენი (თარგმ.).	„	№ 8



ଓ. ১৩৪০		ବିଭାଗ
କ୍ଷେତ୍ରିକ ପାରାମରି	.	№ 5
କ୍ଷେତ୍ରିକ ପାରାମରି	.	№ 9
ନାନୀରାଜବା	.	№ 10
ଅଲୋ	.	№ 11
ଶାକ୍ସିଲ୍ଲେଖ୍ୟାଳି (ଶାକ୍ସିଲ୍ଲେଖ୍ୟାଳି)	.	№ 12
୨. ଅନ୍ତରିକ୍ଷମାଣସିକ		
ଦେହିଲି ଫିନିଆଲମଦ୍ରେଘ, ନ. ଏୟ-ମାନ୍‌ର୍ଯ୍ୟାକ୍ସର୍‌ଟାର୍ମିସି (ତାର୍ଗତ.)	.	№ 5
ଶାକ୍ସିଲ୍ଲେଖ୍ୟାଳି (ତାର୍ଗତ.)	.	№ 8
ଟେଟରି ମନ୍ଦିର—କୋରିକାଙ୍ଗୁଲିକା (ତାର୍ଗତ.)	.	№ 10
“ମନ୍ଦିର” ମନ୍ଦିର, ମନ୍ଦିର—କୋରିକାଙ୍ଗୁଲିକା (ତାର୍ଗତ.)	.	№ 11
୩. ତାମାର ଲାଗମାଣ୍ୟରି		
ପାରାମରିକି ସାମର୍ଜନ (ତାର୍ଗତ.)	.	№ 5
“ ” “ (ଲାଗମାଣ୍ୟରି)	.	№ 6
୪. ଜ୍ଵାଳାଭାରି		
ଶାକ୍ସିଲ୍ଲେଖ୍ୟାଳି (ଫରାନ୍‌ଗୁଲିତ)	.	№ 6
୫—୦.		
ଲାଗମାଣ୍ୟରି କ୍ଷେତ୍ରିକି ଦେହିଲି ପାରାମରିକି (ତାର୍ଗତ.)	.	№ 7
ମିଳ. ପାରାମରିକିଶ୍ୱୋଲିଲି		
ଲାଗମାଣ୍ୟରି—ମନ୍ଦିର, ଶ୍ରୀଲାଙ୍କାନାଡା (ତାର୍ଗତ.)	.	№ 9
୬. ପାରାମରିକି		
ଅନ୍ତରିକ୍ଷମାଣସି ଦା ମିଳି ମେଘମରିକି	.	№ 12
୭. ତାମାରିଶ୍ୱୋଲିଲି		
ଗଂଧିଲା ପିକ୍ଚି	.	№ 10





o. നൂറ്റാണ്ടിലെ

04月35期
2024年4月号

ab N° 7-

Y

იაპონიის მეფის მუკუ-ხიტოს გარდაცვალება . . . № 7

ପ୍ରକାଶକ

ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი „ № 8

Digitized by srujanika@gmail.com

ივანე შერაშიძის ხსოვნას. № 11

E_P-E_D

არისტო ებილის დე კუთათელიძის ხსოვნას . . . № 12

კამოხევილით ადამიანები და შესანიშნავი ამბები:

ଓ. ১০৬. না. শ্রেণি

მამის გურულელი და მისი პოეზია. „ № 1

ඡල. මිනින්දොලෝ

მ. საფაროვ-აბაშიძის იუბილეის გამო. . . . № 2

დღესასწაულები სამაშულოშვილო ომის გამო რეა.

სეთში. № 9

မြို့၏ အုပ်န-კြောခါးချော

ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი „ № 7

አዲስአበባ

ույս և սմռնու գյ ջաջեթա՞մբոլո № 8

(დასასრული). № 9

8. a—ଓନ୍ଦରାଜ



6 0 0 0

აზალი ისტორიული საბუთი იქსო ქრისტეს ჯვარ-		№ 1
ცმისა .		" № 1
წითელ კანიანის ქანდაკება ამერიკ ში მ. კ.—ისა		" № 4
ამერიკის გემის „ტიტანიკის“ დალუპვა . . .		" № 3

პიგიენა და მედიცინა ნ.—ისა.

ისტორიული წერილები:

მღვ. პ. კარბელაშვილი

ერებუ მეფე (ისტორ. მიმოხილვა)	" № 2
---------------------------------------	-------

ა. ჯანაშვილი

ქართული მწერლობა (მოქალე მიმოხილვა)	" № 3
(დასსრული)	" № 4
საქართველო (ჩრდინანი და ჩვეულებანი).	" № 10
(გაგრძელება)	" № 11
(გაგრძელება)	" № 12

ბ. მიქაბერიძე

ტროადის ომი (მითალოდია)	" № 3
(გაგრძელება)	" № 9
(გაგრძელება)	" № 10
(გაგრძელება)	ob. № 1
(გაგრძელება)	" № 12

დ. ბურცულაძე

ჩინეთი	" № 4
----------------	-------

X

ომი ბალყანეთის ნახევარ კუნძულზე	" № 10
---	--------

სამეცნიერო წერილები:

ივ. გომართელი

ასტრონომია	ob. № 1
--------------------	---------

„	(შემდეგი)	იხ. 2 ქვემოთ მოცემული
„	(შემდეგი)	„ № 3
„	(შემდეგი)	„ № 4
„	(შემდეგი)	„ № 5
„	(დასასრული)	„ № 6

ივ. თ — ძე

საღებავების მაწარმოებელი ცხოველები	„ № 1
ელექტრონიანი თევზები	„ № 9

3. ბ.

ოინბაზ ჯამბაზები (თარგმ.)	„ № 5
---------------------------	---	---	---	---	---	-------

6. წუწუნავა

შევი ქვა (მარგანეცი)	„ № 6
„	„	(დასასრული)	.	.	.	„ № 7

8. კლიმიაშვილი

შიის დაბნელება	„ № 8
----------------	---	---	---	---	---	-------

ლ — ღ

ყინულის მთა (თარგმ.)	„ № 10
----------------------	---	---	---	---	---	--------

იტა ნაკაშიძე

აბრეშუმის ჭია	„ № 11
„	„	(დასასრული)	.	.	.	„ № 12

ივ. კარბელაშვილი

1911 წლის მოკლე მიმოხილვა	„ № 1
---------------------------	---	---	---	---	---	-------

ყველა ნომერშია მოთავსებული შარადა, რებუსი, ანდაზა-
ფშოცანები და სხვა.

